



საკონკურსო განცხადება

სოფელი გარიყულა (კასპის მუნიციპალიტეტი) თარხან-მოურავების სასახლის
კომპლექსის (ე.წ. "მარშლიანთ სასახლის") რეაბილიტაციის საპროექტო-
სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის
მომსახურების შესყიდვაზე

ქ. თბილისი
2014 წელი

**სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ აცხადებს კონკურსს
კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის
მომსახურების შესყიდვაზე**

შესყიდვის ობიექტი: სოფელი გარიყულა (კასპის მუნიციპალიტეტი) თარხან-მოურავების სასახლის კომპლექსის (ე.წ. "მარშლიანთ სასახლის") რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომსახურება.

(იხ. ტექნიკური დავალება დანართი #4).

1. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება 12 000 (თორმეტი ათასი) ლარი.

3. დაფინანსების წყარო: სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“-ს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა: 2014 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით.

5. კონკურსში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს პირს, რომელმაც კანონმდებლობით დადგენილი წესით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 19¹ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ანგარიშზე, რომელიც მითითებულია სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე (www.procurement.gov.ge), გადაიხადა კონკურსში მონაწილეობის საფასური 50,00 (ორმოცდაათი) ლარის ოდენობით და წარმოადგენს საკონკურსო წინადადებას.

საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტში მითითებული უნდა იყოს:

- ა) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის უნიკალური ნომერი და გადახდის თარიღი;
- ბ) შემსყიდველი ორგანიზაციის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- გ) კონკურსანტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი;
- დ) საკონკურსო განცხადების სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების შედეგად განცხადებისთვის მინიჭებული უნიკალური ნომერი.

6. კონკურსის ჩატარების პირობები:

კონკურსანტი ვალდებულია შემსყიდველ ორგანიზაციას წარუდგინოს:

6.1 კონკურსში მონაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი;

6.2 საკონკურსო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობის საბანკო გარანტია (გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 2014 წლის 7 ოქტომბრის ჩათვლით).

6.3 სავალდებულო წარმოსადგენი მასალები და ინფორმაცია:

ინფორმაცია (საკვალიფიკაციო მონაცემები):

6.3.1 კონკურსანტის რეკვიზიტები (იხ. დანართი #1);

6.3.2 კონკურსანტის პროფესიული გამოცდილება (მსგავსი სახის პროექტებში მონაწილეობა, თანავტორობა და ა.შ.) შესაბამისი პროექტების ჩამონათვალითა და მასში საკუთარი სტატუსის მითითებით;

6.3.3 ინფორმაცია ყველა მონაწილის კვალიფიკაციისა და პროექტირების გამოცდილების შესახებ (არქიტექტორი, არქიტექტორ-რესტავრატორი, ხელოვნებათმცოდნე, კონსტრუქტორი და ა.შ.).

6.3.4 სადემონსტრაციო მასალა:

- ნაგებობის არსებული მდგომარეობის აღწერა, ფოტოფიქსაცია, დაზიანებების გამომწვევი მიზეზების შეფასება;
 - ძეგლის დაზიანებებისა და არსებული მდგომარეობის შეფასების შედეგად გამოვლენილი ვითარების ანალიზზე დაყრდნობით, სარეაბილიტაციო სამუშაოების მეთოდოლოგიის განსაზღვრა და რეკომენდაციები დაზიანებათა აღმოფხვრისათვის;
 - ობიექტის ფუნქციონალური დატვირთვის არქიტექტურული ესკიზი;
- ზემოთ ჩამოთვლილი პუნქტები (ნებისმიერი სახის ანალიზი თუ დასკვნა) უნდა ემსახუროდეს საერთო მიზანს – ძეგლის არსებული მდგომარეობისა და მისი გაჯანსაღების გზების დახასიათებას.

6.3.5 საკონკურსო წინადადება და საკონკურსო წინადადების ფასი (მოქმედების ვადით არანაკლებ 30 კალენდარული დღე 2014 წლის 7 სექტემბრის ჩათვლით);

6.3.6 ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და სავარაუდო მომსახურების ხარჯთაღრიცხვა (მთლიანი და სამუშაოთა სახეობების მიხედვით) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადების ჩათვლით *(დღგ-ს გარეშე)*;

6.3.7 აფიდავიტი შევსებული და დადასტურებული კონკურსანტის მიერ (იხ. დანართი #2).

6.4 საკონკურსო წინადადებების წარმოდგენის ვადა: 2014 წლის 8 აგვისტო 11:00 სთ-დან 18:00 სთ-მდე.

7. კონკურსი ჩატარდება 2014 წლის 8 აგვისტოს 18:00 საათზე;

წარმოსადგენი საკონკურსო წინადადება, სავალდებულო მასალები და ინფორმაცია შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე და წარმოდგენილი კონკურსში მონაწილეობის საფასურის დამადასტურებელ დოკუმენტთან და საკონკურსო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობის საბანკო გარანტიასთან ერთად, ერთ დახურულ კონვერტში (კონკურსანტი ვალდებულია წარმოადგინოს საკონკურსო დოკუმენტაცია ელექტრონულ PDF ფორმატში CD).

საკონკურსო შესარჩევი სავალდებულო დოკუმენტაციის მიწოდების ფორმა

საკონკურსო დოკუმენტების წარმოდგენის ფორმატი - ზამბარით აკინძული A-4 ფორმატის ალბომი, შემდეგი შემადგენლობით:

- თავფურცელი ძეგლის დასახელებით, დადასტურებული ხელმოწერით ხელმძღვანელის მიერ;
- შესარჩევ ეტაპზე წარმოსადგენი ინფორმაცია და მონაცემები;
- სისტემატიზირებული, დასათაურებული უახლესი ფერადი ფოტომასალა;
- ძეგლთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის მასალა (საარქივო ფოტოები, პროექტები და სხვ.) რასაც პრეტენდენტი ჩათვლის საჭიროდ.
- პრეტენდენტის პროფესიული გამოცდილება;
- ინფორმაცია ძირითადი მონაწილეობის კვალიფიკაციისა და გამოცდილების შესახებ (შესრულებულ სამუშაოთა ჩამონათვალი ამა თუ იმ პროექტში საკუთარი პოზიციის მითითებით).

ზემოხსენებული დოკუმენტები უნდა წარმოადგენდეს ილუსტრირებულ ანგარიშს ტექსტის ანალიტიკური ნაწილით, უახლესი ფოტომასალითა და შესაბამისი რეკომენდაციებით. ალბომი წარმოდგენილი უნდა იყოს აგრეთვე ელექტრონულ (CD) ფორმატში. ფოტომასალა CD-ზე ჩაწერილი (მაღალი ხარისხისა და რეზოლუციის- TIFF გაფართოების ფაილები);

დაგვიანებით შემოსული საკონკურსო დოკუმენტაცია არ განიხილება და დაუბრუნდება წარმომდგენ პირებს. საკონკურსო დოკუმენტაცია, რომელიც არ მოიცავს საფასურის გადახდის დამადასტურებელ დოკუმენტს და საკონკურსო წინადადების ღირებულების 1%-ის ოდენობის საბანკო გარანტიას, არ განიხილება.

8. საკონკურსო წინადადების შეფასებისა და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენის პირობები

8.1 შემსყიდველი ორგანიზაცია საკონკურსო წინადადებების შეფასებასა და გამარჯვებული კონკურსანტის გამოვლენას ახდენს საკონკურსო კომისიის მეშვეობით ერთ ეტაპად.

8.2. შეფასების ძირითადი კრიტერიუმებია: კონკურსანტის მიერ საკონკურსო განაცხადის შესაბამისად წარმოდგენილი სადემონსტრაციო მასალის გათვალისწინებით.

8.3 კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შეფასება მოხდება ღია კენჭისყრით კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. საკონკურსო კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს, წერილობით წარადგინოს თავისი აზრი, რომელიც უნდა დაერთოს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებას. ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადაწყვეტია საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის ხმა.

9. კონკურსანტის დისკვალიფიკაცია ხდება შემდეგ შემთხვევებში:

9.1 თუ ის არ დააზუსტებს ტექნიკურ დოკუმენტაციას შემსყიდველის მიერ დადგენილ ვადაში;

9.2 თუ ის უარს აცხადებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადებაზე;

9.3 თუ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების დადების უფლების მოპოვების მიზნით, ჩაიდენს არაკეთილსინდისიერ ქმედებას.

10. კონკურსის შეწყვეტა:

10.1 საკონკურსო კომისიას უფლება აქვს ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;

10.2 შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, კონკურსანტებს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, აანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

11. ხელშეკრულების დადება:

გამარჯვებულის გამოვლენიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში გამარჯვებულ კონკურსანტთან, დაიდება ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს მიმწოდებლის მიერ ჩასაბარებელი საბოლოო პროდუქტის - კვლევითი-საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდებას, რომლის ზუსტი შემადგენლობა განისაზღვრება საქართველოს კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“, მოთხოვნათა შესაბამისად. (იხ. დანართი #3).

12. ანგარიშსწორების პირობები:

12.1 საკონკურსო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით *(დღგ-ს გარეშე)*.

12.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ ბიუჯეტის სახსრებით.

12.3 ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

12.4 წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოადგინოს ავანსის სახით გადასახდელ თანხაზე საავანსო საბანკო გარანტია (ხელშეკრულების საერთო ღირებულების 30%), რომლის მოქმედების ვადა 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას.

13. მიწოდების პირობები და ვადები:

13.1 საბოლოო პროდუქციის სახით წარმოდგენილი უნდა იყოს პირველ და მეორე ეტაპზე დამუშავებული დოკუმენტაცია:

– მყარი ასლები – ალბომი - 4 ეგზ;

– ელექტრონული ფორმატი (ვექტორული DWG, DXF, PLN გაფართოების ფაილი – ArchiCad, Auto CAD), კომპაქტური დისკების სახით (CD - 4 ეგზ.).

საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების საბოლოო ვადაა 2014 წლის 20 ნოემბერი.

14. კონკურსის მონაწილეთა საავტორო უფლებები და საკონკურსო მასალების კუთვნილება

საკონკურსო მასალები გადადის კონკურსის მომწყობის საკუთრებაში. მას უფლება აქვს გამოიყენოს ისინი თავისი შეხედულებისამებრ, საავტორო უფლებების შესახებ კანონმდებლობის დაცვით.

15. დამატებითი ინფორმაცია:

საკონკურსო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება კონკურსანტს შეუძლია საკონკურსო კომისიაში, წერილობითი მიმართვის შემთხვევაში: ქ. თბილისი, ათონელის #27 (სანაპიროს მხრიდან). საკონტაქტო პირი: გუგა გოგაძე ტელ: +99532 2 932372.

1.რეკვიზიტები:

კონკურსანტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

კონკურსანტის იურიდიული მისამართი:

კონკურსანტის ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

კონკურსანტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

2. საკონკურსო წინადადების ფასი:

3. საკონკურსო წინადადების მოქმედების ვადა:

4. ავანსის გამოყენების შემთხვევაში საავანსო თანხის ოდენობა პროცენტულად:

ხელმძღვანელის ხელმოწერა -----

აფიდავიტი

საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღების მიზნით, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

* ჩემთვის ცნობილია, რომ საკონკურსო წინადადება დისკვალიფიცირებული იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;

* უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს საკონკურსო წინადადება;

* ნებისმიერი პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია საკონკურსო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია კონკურსანტის მიერ;

* ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი "კონკურენტი" აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს კონკურსანტი ან/და წარადგინოს საკონკურსო წინადადება ამ კონკურსში;

* მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით კონკურსანტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:

- საკონკურსო წინადადების ფასი;
- საკონკურსო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;
- საკონკურსო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;
- ისეთი საკონკურსო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებულ საკონკურსო პირობებს;
- შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკურიპირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება საკონკურსო წინადადება;

* საკონკურსო წინადადების პირობები კონკურსანტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არგაუმჟღავნებს კონკურენტს საკონკურსო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

☐ გავცეანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

თანხმობა

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს საკონკურსო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, კონკურსანტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების პროექტი

ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს კონკურსში გამარჯვებულ
კონკურსანტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში.

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო _____ 2014წ.

ერთის მხრივ სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო“ (შემდგომში
„შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ

_____ (შემდგომში „მიმწოდებელი“) შორის.

(მიმწოდებლის დასახელება და რეკვიზიტები)

იმის გათვალისწინებით, რომ შემსყიდველმა ჩაატარა კონკურსი

(შესყიდვის ობიექტის მოკლე აღწერა)

შესყიდვაზე რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის საკონკურსო წინადადება, რომლის თანახმად
მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება შემდეგ თანხაზე

(ხელშეკრულების თანხა ციფრებით, სიტყვიერად და ვალუტის ჩვენებით)

(შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველ
ორგანიზაციასა და კონკურსში გამარჯვებულ კონკურსანტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც
ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი
დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა
ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით
შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც
ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება კონკურსში და უზრუნველყოფს მომსახურების
გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია: სოფელი გარიყულა (კასპის მუნიციპალიტეტი), თარხან-მოურავების სასახლის კომპლექსის
(ე.წ. "მარშლიანთ სასახლის") რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის
მომსახურება, რომელიც განისაზღვრება საკონკურსო დოკუმენტაციის, კერძოდ ტექნიკური დავალების შესაბამისად,
რომელიც თან დაერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდება განხორციელდება მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო
წინადადების საფუძველზე.

3.2. წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების მიხედვით მიმწოდებელი საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდებას
უზრუნველყოფს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2014 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით.

3.3. საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების ადგილი - ქ. თბილისი, ათონელის #27 (სანაპიროს მხრიდან).

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

4.1 შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე
განახორციელონ კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე და განახორციელონ
მომსახურების ხარისხის პერიოდული ინსპექტირება.

4.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების)
ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ

შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

4.4 ამ მუხლის არც ერთი პუნქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს მოცემული ხელშეკრულების სხვა ვალდებულებებისაგან.

4.5 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ თანამშრომლები: გ. გორდელაძე, გ. გაგოშიძე, ზ. ჟორჟოლიანი, რ. კორშია, ქ. დარჩია.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. გაწეული მომსახურების მიღება განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე (შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილ პირ(ებ)ს წარმოადგენენ წინამდებარე ხელშეკრულების პირობების 4.5 მუხლში მითითებული პირები).

5.2. შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ დამუშავებულ და წარმოდგენილ საპროექტო დოკუმენტაციის სრულყოფილებას, მიმწოდებლის მიერ შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენის დღიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში.

5.3. თუ პროექტი არ შეესაბამება წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, შესყიდველი დადგენილი წესის შესაბამისად მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს.

5.4. შემსყიდველს უფლება აქვს ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე დაუბრუნოს მიმწოდებელს ხარვეზიანი საპროექტო დოკუმენტაცია.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია წუნის (დეფექტების) აღმოჩენის შესახებ შესაბამისი აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში აღმოფხვრას ინსპექტირების შედეგად აღმოჩენილი დეფექტები.

5.6. თუ შემსყიდველმა წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეაფასა წუნით, დასრულებულად ჩაითვლება სამუშაოები დეფექტების აღმოფხვრის შემდეგ.

5.7. მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია წარმოუდგინოს შემსყიდველს შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია (მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად).

6. ანგარიშსწორება

6.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში სსიპ „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ 2014 წლის ბიუჯეტის სახსრებით.

6.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

6.3 გაწეული მომსახურების ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ის მიხედვით;

6.4. ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში.

6.5. წინასწარი ანგარიშსწორების შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოადგინოს ავანსის სახით გადასახდელ თანხაზე საავანსო საბანკო გარანტია (ხელშეკრულების საერთო ღირებულების 30%), რომლის მოქმედების ვადა 60 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადას.

7. ფასები

7.1 მიმწოდებლის მიერ დაფიქსირებული გასაწევი მომსახურების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

7.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდის განმავლობაში დაუშვებელია.

7.3 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით.

7.4 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.5 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.

8.2 შემსყიდველი ვალდებულია:

- 8.2.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- 8.2.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევისას აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ;
- 8.2.3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება.
- 8.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
- 8.3.1. განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებების პირობების დაცვაზე;
- 8.3.2. განახორციელოს კონტროლი საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისას;
- 8.3.3. მიიღოს მიმწოდებლისგან სათანადო წესით გაფორმებული საპროექტო დოკუმენტაცია.
- 8.3.4. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ დადებული ხელშეკრულების მოქმედება, თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ყალბი აღმოჩნდება;
- 8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- 8.4.1. დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;
- 8.4.2. დააკმაყოფილოს შემსყიდველის მოთხოვნა დამატებითი მონაცემების წარმოდგენის შესახებ კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- 8.4.3. საპროექტო დოკუმენტაციაზე რაიმე შენიშვნების აღმოჩენის შემთხვევაში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოუხვრას იგი, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე;
- 8.4.4. საპროექტო დოკუმენტაციის მიხედვით, სამშენებლო სამუშაოების განხორციელების დროს წარმოქმნილი დამატებითი სამუშაოების აუცილებლობის შემთხვევაში, შეიტანოს შესაბამისი კორექტირება საპროექტო დოკუმენტაციაში შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.
- 8.5 საპროექტო დოკუმენტაცია წარადგინოს 4 (ოთხ) ეგზემპლარად ტექნიკურ დავალებაში მითითებული პირობების შესაბამისად, აგრეთვე პროექტი ელექტრონული სახით ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ფორმატში.
- 8.6. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- 8.6.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

- 9.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
- 9.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
- 9.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
- 9.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. უფლებების გადაცემა

- 10.1 მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

11. სუბკონტრაქტორები

- 11.1 ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ მიმწოდებელმა წერილობით უნდა აცნობოს შემსყიდველს სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის აყვანის ან შეცვლის შესახებ (სუბ-კონტრაქტორის აყვანის აუცილებლობის მიზეზების დასაბუთებით). სუბ-კონტრაქტორ(ებ)ის დასაშვებობის საკითხს წყვეტს შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე, რომელიც გაფორმდება წერილობითი ფორმით წინადადებარე ხელშეკრულების დამატების სახით.
- 11.2 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა სუბკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.
- 11.3 ამ ხელშეკრულების ფარგლებში დადებული არც ერთი სუბკონტრაქტი არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12. გარანტია

- 12.1. საპროექტო დოკუმენტაციის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს სამშენებლო ნორმებითა და წესებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, აგრეთვე ტექნიკურ დავალებაში მითითებულ მოთხოვნებს;

12.2. შემსყიდველი ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიმწოდებელს ექსპერტიზის გავლის შედეგად საპროექტო დოკუმენტაციაში რაიმე წუნის (ხარვეზის) აღმოჩენის შესახებ.

12.3. შეტყობინების მიღების შემდეგ მიმწოდებელი ვალდებულია 5 სამუშაო დღის განმავლობაში საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას საპროექტო დოკუმენტაციაში აღმოჩენილი წუნი (ხარვეზი).

12.4. ნებისმიერი პრობლემა, რომელიც წარმოიქმნება სამუშაოების პროცესში საპროექტო ორგანიზაციის არაკვალიფიციურად დასახული ამოცანის შედეგად და აღმოჩნდება, რომ ამის გამო სამუშაოების ღირებულება იზრდება, მიმწოდებელი (საპროექტო ორგანიზაცია) ვალდებულია აანაზღაუროს ასეთი გარემოებით გამოწვეული სამუშაოები.

13. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

13.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის დამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,3 %-ის ოდენობით.

13.2 ხელშეკრულების არაჯეროვნად შესრულებისას ინსპექტირების ჯგუფის მიერ წუნის (დეფექტების) აღმოჩენის შემთხვევაში საჯარიმო სანქციების ათვლა მოხდება შესაბამისი აქტის გაფორმების თარიღიდან.

13.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება.

13.2 საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისგან.

14. ხელშეკრულების შეწყვეტა მისი პირობების შეუსრულებლობის გამო

14.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში შესყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

14.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

14.3 ხელშეკრულების შეწყვეტა პირობების დარღვევის გამო არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან.

14.4 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ აგრეთვე:

ა) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

ბ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

გ) თუ მისთვის ცნობილი გახდება, რომ მიმწოდებლის საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება;

დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

14.5 ამ მუხლის მე-5 პუნქტში მითითებულ შემთხვევებში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება.

14.6 შემსყიდველი უფლებამოსილია მთლიანად ან ნაწილობრივ ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუკი მიმწოდებლის მხრიდან შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადების დარღვევის პერიოდი აღემატება 15 კალენდარულ დღეს.

15. ფორს-მაჟორი

15.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისა და მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამოახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებოდნენ ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

16. სადაო საკითხების გადაწყვეტა

16.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

16.2 თუ ასეთი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხრეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

17. გამოყენებული სამართალი

ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

18. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

19. შეტყობინება

19.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

19.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილ დღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

20. გადასახადები და დაბეგვრა

20.1 უცხოელი მიმწოდებელი პასუხს აგებს მომსახურების გაწევასთან დაკავშირებული ყველა იმ გადასახადის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, რომლებიც გადასახდელია საქართველოს ფარგლებში და მის გარეთ.

20.2 ადგილობრივი მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულების პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

21. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან, 2014 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

22. სხვა პირობები

22.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

22.2 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

22.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმოწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და სამი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

22.4 გამარჯვებული კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება და დანართები თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

22.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

შემსყიდველი:

მიმწოდებელი:

**კასპის რაიონი, სოფელი გარიყულა, თარხან-მოურავების სასახლის კომპლექსის
(ე.წ. "მარშლიანთ სასახლის") პროექტირების პირველი ეტაპი
ტექნიკური დავალება**

❖ პრეამბულა

თარხან-მოურავების სახლი, ე.წ. "მარშლიანთ სასახლე", მდებარეობს კასპის რაიონში, სოფელ ახალქალაქში. უბანს, სადაც სახლი დგას, გარიყულას ეძახიან.

„მარშლიანთ სასახლის“ ადგილზე ჯერ კიდევ მეთვრამეტე საუკუნეში დავით თარხან-მოურავის დროს იდგა ერთსართულიანი სახლი. შენობა მოგვიანებით გადააკეთეს დავითის შვილებმა - კონსანტინემ (1806-1869, გენერალ-მაიორი) და ალექსანდრემ (1812-1874). ცნობილია, რომ შენობის ინტერიერზე ირანელმა ხელოსანმა იმუშავა, რომელმაც კედლები სპარსულ სტილში მოხატა. ნაგებობის არქიტექტურა და ინტერიერი წარმოადგენდა აღმოსავლურ და დასავლურ (ევროპულ) სტილთა შერწყმას. დიდი ხნის განმავლობაში „მარშლიანთ სასახლე“ ერთგვარ კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა, XIX-XX საუკუნის არაერთი ცნობილი მწერალი თუ პოეტი სტუმრობდა მას (გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, ეკატერინე გაბაშვილი, მამია გურიელი, ალექსანდრე ყაზბეგი, გიორგი ერისთავი და სხვ.).

ზოგადი სახელმძღვანელო პრინციპები:

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კულტურული ფასეულობების მოვლა-პატრონობა და მათი შენარჩუნება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია სახელმწიფოს განვითარების პროცესში. საუკუნეების მანძილზე ჩვენამდე მოღწეული, მძიმე მდგომარეობაში მყოფი უნიკალური ძეგლებისათვის აუცილებელია სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება. მათ დიდ ნაწილზე არ მოიპოვება ტექნიკური მდგომარეობის ამსახველი უახლესი დოკუმენტაცია, უცნობია დაზიანებების გამომწვევი ფაქტორები და არ შედგენილა შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაცია.

საპროექტო დოკუმენტაციით განისაზღვრება რეაბილიტაციის მიმართულებები, რაც საფუძველია ფიზიკური სამუშაოების განსახორციელებლად.

ძეგლთა შენარჩუნებისათვის აუცილებელია: ძეგლის მდგომარეობის სტაბილიზაციისა და მისი რეაბილიტაციისათვის აუცილებელ სამუშაოთა განსაზღვრა.

❖ მიზანი და ძირითადი პირობები

კონკურსის მიზანია თარხან-მოურავების სასახლის კომპლექსის რესტავრაცია-რეაბილიტაციის გადაწყვეტის საუკეთესო წინადადებისა და პირველი ეტაპის პროექტის გამოვლენა.

ძეგლზე ჩასატარებელი სარეაბილიტაციო სამუშაოები, აგრეთვე მეთოდოლოგია უნდა დაისახოს საქართველოს კანონის „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ მოთხოვნებისა და ძეგლთა დაცვითი საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით.

კვლევითი და საპროექტო დოკუმენტაცია უნდა დამუშავდეს საქართველოს კანონმდებლობისა და კანონქვემდებარე ნორმატიული დოკუმენტების მოთხოვნების გათვალისწინებით, თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით. გრაფიკული მასალა უნდა მომზადდეს ციფრულ (ვექტორული DWG, PDF, JPG გაფართოების ფაილი – ArchiCad, Auto CAD) ფორმატში.

გასაწევი მომსახურება ერთ ეტაპიანია:

- განმარტებითი ბარათი (პრობლემ(ებ)ის დეტალური აღწერა);
- საპროექტო ობიექტის ადგილმდებარეობის სიტუაციური გეგმა – მ. 1:2000 ან 1:1000;
- არქიტექტურული ნაწილი: განმარტებითი ბარათი (პრობლემების გადაჭრის გზები და მეთოდოლოგიის დასაბუთება); ობიექტის ფუნქციალური დათვითის არქიტექტურული ესკიზი - გეგმები და ჭრილები მ. 1:200; რეაბილიტაცია-რესტავრაციის პროექტის პირველი ეტაპი (კონსტრუქციული ნაწილისთვის - დემონტაჟი, გამაგრება, აღდგენა): გენერალური გეგმა მ. 1:500; გეგმები, ჭრილები, ფასადები (ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:100, 1:50), ფრაგმენტები და დეტალები მ.: -1:25, 1:20, 1:10 და 1:1), სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით;

- კონსტრუქციული ნაწილი: განმარტებითი ბარათი, სამუშაო ნახაზები (ზომებისა და ნიშნულების ჩვენებით მ. 1:100, 1:50, 1:25), სპეციფიკაციები სამუშაოთა სახეობებისა და გამოსაყენებელი მასალების სახეობების მითითებით (როგორც ცალკეულ სახეობებზე, ასევე კრებსით);
- სამუშაოთა წარმოების ორგანიზაცია სამუშაოს ჩატარების კალენდარული გრაფიკით; ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვები:
 1. შენობა-ნაგებობების სარეაბილიტაციო სამუშაოების კონსტრუქციული ნაწილი (გვიანდელი ნაწილების დემონტაჟი და ობიექტის გამაგრება, დაკარგული მოცულობების აღდგენა);
 2. შენობა-ნაგებობების სარესტავრაციო არქიტექტურული დეტალები და ელემენტები;
 3. მხატვრულ-დეკორატიული დეტალების რესტავრაცია-აღდგენა (კედლის და ჭერის მოხატულობა-ინკრუსტაცია, ღიობების ვიტრაჟები და ა.შ.).

❖ საპროექტო დოკუმენტაციის წარმოდგენის ფორმა:

საპროექტო დოკუმენტაცია წარმოდგენილი უნდა იყოს A-3 ფორმატის, ზამბარით აკინძული ალბომის

სახით:

- სათაური;
 - სატიტულო ფურცელი, დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით, ხელმძღვანელისა და პროექტის ავტორ(ებ)ის ხელმოწერ(ებ)ით;
 - ალბომის შემადგენლობა;
 - პროექტის შემადგენლობა;
 - შესაბამისი ტექსტუალური ნაწილ(ებ)ი, დადასტურებული შემსრულებლ(ებ)ის/ ავტორ(ებ)ის მიერ - A-4 ფორმატი;
 - გრაფიკული ნაწილ(ებ)ი, შტამპით და ჩარჩოთი - A-3 ფორმატი (გამონაკლის შემთხვევაში დასაშვებია განსხვავებული ფორმატის წარმოდგენა, ალბომში აკინძული A3 ფორმატის ზომაზე).
- ყველა ფურცელი უნდა იყოს დადასტურებული ხელმძღვანელის, პროექტის ავტორ(ებ)ის/შემსრულებლ(ებ)ის მიერ ხელმოწერებით.

ჩასატარებელი სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა წარმოდგენილი უნდა იყოს A-4 ფორმატის, ზამბარით აკინძული ალბომის სახით:

- თავფურცელი (სათაური);
- სატიტულო ფურცელი, დამოწმებული ორგანიზაციის ბეჭდით, ხელმძღვანელისა და შემდგენელის ხელმოწერ(ებ)ით;
- განმარტებითი ბარათი;
- სამუშაოების ჩამონათვალი და ხარჯთაღრიცხვა დადასტურებული შემდგენელის ხელმოწერით;

შემსყიდველისათვის გადასაცემი საბოლოო პროდუქცია:

საბოლოო პროდუქციის სახით წარმოდგენილი უნდა იყოს დამუშავებული დოკუმენტაცია:

- მყარი ასლები – ალბომი - 4 ეგზ;
- ელექტრონული ფორმატი (ვექტორული DWG, DXF, PLN გაფართოების ფაილი – ArchiCad, Auto CAD), კომპაქტური დისკების სახით (CD - 4 ეგზ.).

საპროექტო დოკუმენტაციის მიწოდების საბოლოო ვადაა 2014 წლის 20 ნოემბერი.


დანართის სახით ასევე მოცემულია:

- კომპლექსის ტოპოგეგმა - 1951, 1988 წწ. და 2014 წ. (PDF ფორმატი) - დანართი 1;
- საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის უძრავი ძეგლის 2014 წელს შესრულებული პასპორტი - ტექსტობრივი მასალა (PDF - ფორმატი) - დანართი 2;
- საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის უძრავი ძეგლის 2014 წელს შესრულებული სააღრიცხვო ბარათი - ტექსტობრივი მასალა (PDF - ფორმატი) - დანართი 3;

კონკურსში გამარჯვებულ პირს გადაეცემა დამატებითი მასალა - კომპლექსის არქიტექტურული ანაზომები - 1956, 1988 წწ. და 2014 წ.

კომპლექსის არსებული გეგმა (2014 წ.)

ტარხნ-მორავების
სასახლის კომპლექსი
"მარსლიანთ
სასახლე"



- აუზი
- დაცული ტერიტორიის საზღვარი
- "უძრავი ძეგლი"-შენობები
- საგარეულო საპარადო შესასვლელი გზა (თავდაპირველი, გაუქმებული)
- ამჟამინდელი შესასვლელი გზა

საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტრო უძრავი ძეგლის პასპორტი



1. სახელწოდება

სოფელი გარიყულა, თარხნ-მოურავების სასახლის კომპლექსი (“მარშლიანთ სასახლე”)

2. ადგილმდებარეობა / მისამართი

2.1. ზუსტი მისამართი	
ადმინისტრაციული ერთეული (ავტონომიური რესპუბლიკა, ქალაქი, დაბა, სოფელი)	კასპის რაიონი, სოფელი გარიყულა
ქალაქის რაიონი	
ქუჩა (ქუჩები)	
შენობის №	2602
2.2. გეოგრაფიული/ისტორიული მდებარეობა	
ისტორიული მხარე	ქართლი
გეოგრაფიული ერთეულის სახელწოდება	
ისტორიული დასახლების სახელწოდება	გარიყულა
მანძილი და მიმართულება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან	შიგ სოფელ გარიყულაში,

3. სახეობა

არქიტექტურის	არქიტექტურული სამამულო კომპლექსი
არქეოლოგიური	
საინჟინრო	
მემორიალური	თარხან-მოურავების სანათესავო ისტორია
ქალაქთმშენებლობის (ურბანული)	
საბაღე საპარკო ხელოვნების და ლანდშაფტური არქიტექტურის	
მონუმენტური სახვითი ხელოვნების	ინტერიერის კედლის და ჭერის დეკორატიული მოხატულობა და თაბაშირი-სორკობლივი ინკრუსტაცია აღმოსავლური სტილების გავლენით
პალეოგრაფიული	
ეთნოგრაფიული	

მეცნიერების, ტექნიკისა და მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული ძეგლი	
---	--

4. სტატუსი და კატეგორია

სტატუსი	თავდაპირველი	არქიტექტურული ძეგლი
	ახალი	არქიტექტურული ძეგლი
სტატუსის მინიჭების თარიღი	თავდაპირველი	1938 წ.
	ახალი	07. 11. 2006 წ.
სტატუსის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება	თავდაპირველი	საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ხელოვნების საქმეთა სამმართველო
	ახალი	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
დოკუმენტის №	თავდაპირველი	
	ახალი	№1994, ბრძანებულება №665 <i>კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრი (ნაწილი 3)</i>
ძეგლის კატეგორია	თავდაპირველი	ეროვნული
	ახალი	ეროვნული
კატეგორიის მინიჭების თარიღი	თავდაპირველი	1989 წ.
	ახალი	07. 11. 2006 წ.
კატეგორიის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება	თავდაპირველი	საქართველოს ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლთა დაცვის და გამოყენების სამმართველო
	ახალი	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
დოკუმენტის №	თავდაპირველი	
	ახალი	ბრძანებულება №665 <i>კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრი (ნაწილი 3)</i>
რეესტრის №		№ 1994
რეესტრში შეტანის თარიღი		07. 11. 2006 წ.

5. აგების თარიღი

თავდაპირველი დაშენება (აბანო), XIX ს. დასაწყისი (სასხლის 1 სართული), XIX ს. შუაწლები (სასახლის მეორე სართული); 1960-ან წლებში (სასახლის მნიშვნელოვანი გადააკეთებები)
--

6. ფუნქცია

დასახელება	თავდაპირველი	ახალი
1. რელიგიური		
2. სათავდაცვო		
3. საერო	საცხოვრებელი	უპატრონო ბავშვთა სახლი, თბილისის სამხატვრო აკადემიის საზაფხულო ბაზა, ამჟამად დროებითი ფუნქციონირება

7. საკუთრება /მითითებულ იქნას მესაკუთრე/

იურიდიული პირი	
ფიზიკური პირი	თავდაპირველი მეპატრონეების შთამომავლები
და სხვა	

8. ძეგლის მოკლე დახასიათება

ობიექტი იმყოფება სოფელ გარიყულას შუაში, რომელიც მჭიდროდ ეკვრის სოფელ ახალქალაქს და წარმოადგენს თარხან-მოურავების საგვარეულო სასახლის არქიტექტურულ კომპლექსს. სასხლის 2-სართულიანი შენობა განლაგებულია მაღალი ბორცვის სწორკუთხა ტერასაზე, საიდანაც იხსნება ხედი სოფელ გარიყულას, სოფელ ახალქალაქის და მდინარეები თეძნისისა და მტკვრის ხეობის კავკასიონის ქედამდე. სასხლის გარდა ამ ტერიტორიაზე (რომელიც ეკუთვნის სასახლეს) განლაგებულია
--

ორგუმბათიანი აბანოს შენობა, შესრულებული აგურის და ქვის შერეული წყობით, 8-კუთხა დეკორატიული ქვის აუზი, სასახლის ტერასების საყრდენი კედლების, კიბეების და ღობის ქვის წყობის ნარჩენები, ასევე კარის ეკლესიის საძირკვლების ნარჩენები. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი თავდაპირველი ნაგებობებისა შემდგომი პერიოდების გადაკეთებებით -ტერიტორიაზე განლაგებულია გვიანდელი ნაგებობები: სწორკუთხა რკინაბეტონის საცურაო აუზი, ტერასის საყრდენ კედელზე მიშენებული მარანი და საბოილერო სათავსო, ავტოფარეხი, რკინაბეტონის ფილების ღობე. ტერიტორიაზე შემორჩა რამდენიმე ძველი წიწვოვანი და ფოთლოვანი დიდი ხე, ასევე არის ახალი გაშენებული ხილის ხეები და ბუჩქები. არის გვიანდელი ქვით მოპირკეთებული ბადის ბილიკები და მოედნები, ასევე ლითონის ბადით შემოღობილი სპორტული მოედანი. სასახლის შენობაში, აბანოში და აუზში მიყვანილია წყლისა და კანალიზაციის სისტემა. ტერიტორია უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით. სასახლის ტერიტორია შემოღობილია ნაწილობრივ ლითონის ბადით, ნაწილობრივ რკინაბეტონის ფილებით, ხოლო ქვედა ტერასა ესაზღვრება წყლის რკინაბეტონის სარწყავ არხს.

სასახლის კედლები აშენებულია აგურის და ქვის შერეული წყობით. ფასადის კედლების ნაწილი გაღესილია. მეორე სათულზე ორი ფასადის მთელ სიგრძეზე მოწყობილია გვიანდელი რკინაბეტონის აივანი. კარ-ფანჯრების ღიობებს გააჩნიათ სხვადასხვა ტიპის ზღუდარები: ნახევრადწრიული, სეგმენტური და სწორი-პორიზონტალური. კარ-ფანჯრები ხისაა, სხვადასხვა დროის. სართულშუა გადახურვა ხის კოჭებზე მოწყობილი, გარდა კიბის უჯრედისა. 4-ქანობიანი სახურავი ასევე მოწყობილია ხის კონსტრუქციებით და დაფარულია შეღებილი თუნუქით. შიდა 3-მარშიანი კიბე მოწყობილია ასაწვობი მოზაიკური საფეხურებით ლითონის კოსოურებზე. იატაკები ნაწილობრივ შესრულებულია ცემენტის მოჭიმვით (პირველი სართულის ღია ტერასა და კიბის უჯრედი), ნაწილობრივ კერამიკული ფილებით (პირველი სართულის დიდი დარბაზი და საფირფარაშოები), ნაწილობრივ - პარკეტით. ინტერიერის კედლები და ჭერები შეღესილია და შეთეთრებულია. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მეორე სართულის ხუთ ოთახში კედლები და ჭერები მორთულია თაბაშირით ნაძერწი აღმოსავლური ფერადი ორნამენტებით, ინკრუსტირებული სარკის "ნატეხებით". მოხატულობის ნაწილი განძრახ დაზიანებულია (ჩამოტრილია მჭრელი საგნით) და დაფარულია გვიანდელი გაჯის ნაღესით. მოხატულობა და ორნამენტები შესრულებულია გაღესილ ხის ღარტყებზე ("დრანკაზე") და მრავალ ადგილას ძლიერ დაზიანებულია. შემორჩენილია რამდენიმე ძველი ავეჯის ნიმუში, სავარაუდოთ სასახლის მშენებლობის ეპოქისა.

9. ძეგლის ფიზიკური მდგომარეობა

9.1 ზოგადი შეფასება (კარგი, საშუალო, ცუდი, ძალიან ცუდი, დანგრეული)

არქიტექტურული თვალსაზრისით – სასახლე - ცუდი; აბანო - ცუდი; აუზი - საშუალო; საყრდენი კედლები -ცუდი; თავდაპირველი ქვის ღობე - დანგრეულია

კონსტრუქციული თვალსაზრისით – სასახლე - საშუალო; აბანო - საშუალო; აუზი - კარგი; საყრდენი კედლები -ცუდი; თავდაპირველი ქვის ღობე - დანგრეულია

მონუმენტური ფერწერა და დეკორი - სასახლე - ძალიან ცუდი

9.2 მდგომარეობის მოკლე აღწერა

სასახლე რამოდენიმე ჯერ გადაკეთებულია, სოგიერთი მაწილი დაშლილია (ფლიგელი, სახურავის რიზოლიტების პარაპეტები, თავდაპირველი აივნები, თავდაპირველი კარ-ფანჯრების ხის ალათები ფერადი შემინვით, რამოდენიმე ბუხარი, თავდაპირველი ხის კიბე). კედლებზე, რომლები აშენებულია აგურის და ქვის შერეული წყობით, ჩანს ბევრი წვრილი ბზარები; სამი ფასადის კედლები შეღესილია, ჩრდილოეთის ფასადის შეღესვა მოხსნილია რამოდენიმე წლის წინ. სახურავის კონსტრუქციები და თუნუქის საფარი დაზიანებულია. ინტერიერის მოხატულობა და დეკორატიული ინკრუსტირებული ორნამენტები მრავალ ადგილას ძლიერ დაზიანებულია, მრავალ ადგილას - დაკარგულია.

აბანოს კედლები, რომლებიც შესრულებულია აგურის და ქვის შერეული წყობით, ნაწილობრივად გასუფთავებულია გვიანდელი ნასესობიდან; 2 გუმბათი, აშენებულია ძველი ქართული აგურდან, ხელოვნურად დაზიანებულია (ამოღებულია ცენტრალური "კლიტე-აგური"); ორი თავდაპირველი გვერდითი სათავსო ნაწილობრივად გადაკეთებულია, ნაწილობრივად - დაშლილია.

დეკორატიული 8-კუთხა ქვის აუზის წყობა კოროზირებულია.

9.3 დაზიანების გამომწვევი მიზეზი

ბუნებრივი	მიწისძვრა (შესაბამისი საინჟინრო გადაწყვეტილებების არქონის გამო), წვიმები (სახურავის დაზიანებების გამო)
ადამიანის ზემოქმედება	არასწორი ექსპლუატაცია და გვიანდელი სელოვნური დაზიანებები, ასევე არამართლმზომიერი გადაკეთებები
სხვა კონკრეტული მიზეზი	მიწისძვრა (შესაბამისი საინჟინრო გადაწყვეტილებების არქონის გამო), წვიმები (სახურავის დაზიანებების გამო)

9.4 მოსალოდნელი საშიშროება

ინტერიერის უნიკალური დეკორის სრული დაკარგვა

10. მითითება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის/ძეგლის შესახებ არსებულ დოკუმენტაციასა და ბიბლიოგრაფიაზე

პასპორტი/საადრიცხო ბარათი	- საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, "სარემონტო სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი", (გ.გორდევი), 1938 წელი; - «კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის საადრიცხო ბარათი» № 1994, 2006 წ.; - «კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის საადრიცხო ბარათი» (კ.სადალაშვილი), 2010 წელი; - საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების საქმეთა კომიტეტი, ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების სამმართველო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სიით ისტორიული ძეგლის (შენობის) პასპორტი, (ო.ომანიძე), 1951 წ. - საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლთა დაცვის და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო, "საქართველოს ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლის პასპორტი", (პ. კიკაძეშვილი), 1989 წ.
გრაფიკული მასალა	საქართველოს ძეგლთა დაცვის სააგენტოს არქივში შენახული არქიტექტურული ანაზომები: - 1956 წ. (ლ.ხიმშიაშვილი; გ.ჭეიშვილი; რ.ცინცაძე), საქართველოს სსრ საბჭოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტი ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების სამმართველო - 1988-1989 წწ. (ი.შარაშენიძე; გ.ტარასაშვილი; ლ.ბოკუჩავა), საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლთა დაცვის და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო
ფოტოები	- 1951 წელი (ფოტოგრაფი - შიშანსკი), კულტურული მემკვიდრეობის დაცვის როვნული სააგენტოს არქივი; - 1956 წელი (ფოტოგრაფი - ბარტიშევსკი), კულტურული მემკვიდრეობის დაცვის როვნული სააგენტოს არქივი; - 1984 წელი, "ლეგენდა სურამის ციხეზე" (კ.ფ. სპარაჯანოვი, დ.აბაშიძე), საქართველოს ეროვნული არქივი, "კინო-ფოტო არქივი" - 1988 წელი (ფოტოგრაფი - გ.მორბედაძე), კულტურული მემკვიდრეობის დაცვის როვნული სააგენტოს არქივი; - თარხან-მოურავიების და მანაბლების ოჯახის არქივები
ბიბლიოგრაფია	- ვბერიძე, "თბილისის 1801-1917 წწ", თბილისი, 1960 წ. - ჟურნალი "ძეგლის მეგობარი", "ზოგი რაგ მარშლიანთ სასხლის შესახებ", მ.მგალობლიშვილი, გ.მარჯანიშვილი, 1987 წ, №3, გვ.7 - საქართველოს ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლთა დაცვის და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო, "ისტორიულ, საარქივო და ბიბლიოგრაფიული გამოკვლევა" (მ.მგალობლიშვილი), 1988 წ;

11. მითითებები კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთან/ძეგლთან დაკავშირებულ სხვა ობიექტთან/ძეგლის საადრიცხო დოკუმენტაციაზე

დაკავშირებულ უძრავ ობიექტთან/ძეგლთან პასპორტები/საადრიცხო ბარათები	-
ობიექტში/ძეგლში დაცულ კულტურული მემკვიდრეობის მოძრავ ობიექტთან/ძეგლთან პასპორტები/საადრიცხო ბარათები	-
სხვა დოკუმენტები	პორუჩიკ ალექსანდრე ტარხან-მოურავის ორი სახლის პროექტი, ქ. თბილისში, ლაბორატორიის ქუჩაზე, (დღევანდელი ძეგლი ზუბალაშვილების ქუჩა) 1861 წ., საქართველოს ეროვნული არქივი, "საისტორიო არქივი", ფონდი 205, აღწერა 1, საქმეები 1905 და 1907

12. ისტორიული ცნობები

12.1 დაარსების, აღმოჩენის, მშენებლობის, შექმნის ისტორია, ავტორი, დამკვეთი, ნაგებობასთან დაკავშირებული პირები და ორგანიზაციები და სხვ.	
თარხან-მოურავების სახლი ახალქალაქში, ე.წ. „მარშლიანთ სასახლე“, მდებარეობს თბილისიდან დაახლოებით 60 კილომეტრის მანძილზე, კასპის რაიონში. ახალქალაქის უბანს, სადაც სახლი დგას, გარეყულას ეძახიან. ამჟამად სახლი თარხან-მოურავების ოჯახის შთამომავლების კერძო საკუთრებაა.	ოჯახში შემორჩენილი გადმოცემით, „მარშლიანთ სასახლის“ ადგილზე ჯერ კიდევ დავით თარხან-მოურავის დროს იდგა ერთსართულიანი სახლი. ეს სახლი შემდეგ გადააკეთეს და მეორე სართული დააშენეს დავითის შვილებმა. დავითი ისტორიულ დოკუმენტებში მოიხსენიება, როგორც დავით მინბაში (მინბაში, ანუ მიმბაში თანამდებობაა ქართლ-კახეთის მეფის კარზე და გვარდიის ათასისთავს ნიშნავს). იგი დაიბადა 1766 წელს და გარდაიცვალა 1839 წელს. რუსეთთან შეერთების შემდეგ მიიღო გენერალ-
	
მაიორის ჩინი. ცოლად ჰყავდა სოლომონ მეფის ცნობილი სახლთუხუცესის ზურაბ წერეთლისა და „დიდი ნიკოს“ დის - თამარ დადიანის ქალიშვილი მკერინე. „მარშლიანთ სასახლესთან“ არიან დაკავშირებული მათი შვილები: კონსტანტინე (1806-1869) - გენერალ-მაიორი, უცოლშვილო. მან ქართველებიდან ერთ-ერთმა პირველთაგანმა მიიღო რუსეთში უმაღლესი იურიდიული განათლება. მუშაობდა მიხაილ ლორის-მელიქოვის ხელმძღვანელობით მეფისნაცვლის კანცელარიაში. იცოდა რამდენიმე აღმოსავლური ენა და იყო თარჯიმანი მეფისნაცვალ ვორონცოვთან. მაგალითად, ჰაჯი-მურატთან მოლაპარაკების დროს კონსტანტინე ამ სტატუსით ჩანს ლევ ტოლსტოის შესანიშნავ ნაწარმოებში „ჰაჯი მურატი“. კონსტანტინე მოგვიანებით შემახის გუბერნიის გენერალ-გუბერნატორად დაინიშნა. ხოლო შემდგომში, მეფისნაცვალ ბარიატინსკის გადაწყვეტილებით, მან საგუბერნიო ცენტრი მაშინ ჯერ კიდევ ნაკლებად მნიშვნელოვან ქალაქ ბაქოში გადაიტანა. მეორე შვილმა - ალექსანდრემ (1812-1874) - სამხედრო კარიერას ადრე დაანება თავი, პოდპოლკოვნიკის ჩინით გადადგა და მამულში დაბრუნდა. გორის მაზრის თავად-აზნაურთა კრების წინამძღოლი (მარშალი) იყო. ამიტომაც დაარქვეს ოჯახს „მარშლიანნი“, დავით მინბაშის შვილების მიერ აშენებულ სახლს კი - „მარშლიანთ სასახლე“. ალექსანდრე გარდაიცვალა 1874 წელს. ცოლად ჰყავდა ერეკლე მეორის ქალიშვილის ანასტასია ბატონიშვილის შვილიშვილი მარიამი - თავად ბიძინა ქსნის ერისთავის ასული. „მარშლიანთ სასახლე“ ამჟამად ალექსანდრეს პირდაპირი შთამომავლების საკუთრებაშია.	



მესამე ვაჟიშვილი - იოსები (1819-1878) - გენერალ-ადიუტანტი, გენერალ-ლეიტენანტი. 1859 წელს დაინიშნა სამხრეთ დაღესტანში რუსეთის ჯარის უფროსად, 1960 წელს - ჩრდილო დაღესტნის სამხედრო მმართველად. შემდეგ ხელმძღვანელობდა კავკასიის გრენადერთა დივიზიას. აქტიურად მონაწილეობდა ბრძოლაში გუნიბთან, სადაც დაატყვევეს შამილი. იოსები გამოსახულია ტ. გორშელტის ცნობილ სურათზე „დატყვევებული შამილი გუნიბში თავად ბარიატინსკის წინაშე“. ცოლად ჰყავდა თავად მამუკა თამაზის ძე ჯამბაკურ-ორბელიანის ასული ბარბარე. მათ შვილებს „მარშლიანთ სასახლის“ სიახლოვეს ჰქონდათ აშენებული სახლები. სამწუხაროდ, ეს სახლები ოქტომბრის რევოლუციას ვერ გადაურჩა. ერთადერთი სახლიდა შემორჩა, ნაწილობრივ დანგრეული, ე. წ. „სატყეო“ - წერეთლების (იოსების სიძე იყო როსტომ გრიგოლის ძე წერეთელი) ყოფილი სახლი.

ძმებმა მამისეულ სახლს მეორე სართული დააშენეს. „მარშლიანთ სასახლის“ მეორე სართული ოფიციალური სასტუმრო ცერემონიებისა და შინაური თეატრისათვის გაითვალისწინეს. კონსტანტინემ გამოგზავნა ირანელი ხელოსანი, რომელიც ამ სახლში ცხოვრობდა და კედლები

სპარსულ სტილში მოხატა. იგი 15 წლის შემდეგ გარდაიცვალა და მეორე სართულის ბოლომდე მოხატვა ვერ მოასწრო. დარჩენილი ოთახების კედლებზე პარიზიდან ჩამოტანილი შპალერები ააკრეს. ამ შპალერების ნარჩენები ჩანს ძეგლთა დაცვის სააგენტოს არქივში შემონახულ ფოტოებზე. ასე რომ, სახლის არქიტექტურა და ინტერიერი წარმოადგენდა აღმოსავლურ და დასავლურ (ევროპულ) სტილთა შერწყმას.

სახლის ერთ-ერთი ოთახის კედლებზე გადმოტანილია ჩინური კოლოფის მოხატულობა. ეს ჩინური კოლოფი მეფისნაცვალ ბარიატინსკის ნაჩუქარი იყო და ოთახსაც „ბარიატინსკის ოთახად“ მოიხსენიებდნენ. ბარიატინსკისვე ნაჩუქარი იყო ამ ოთახის ფანჯრის ვენეციური მინა. ფანჯრის რაფა მიმსგავსებული იყო სურათის ჩარჩოს და ფანჯარა ტოვებდა ფერწერული სურათის შთაბეჭდილებას, რომელზედაც თითქოს თეძმისა და მტკვრის ხეობები იყო გამოსახული. ამ ფანჯრიდან მართლაც მშვენიერი ხედი იშლება ორივე ხეობასა და კავკასიონზე. სახლის გარშემო იყო ბაღი, რომელშიც ხეხილის გარდა უცხო დეკორატიული ხეებიც იდგა.

ოთახების უმეტესობა დახვეწილი სპარსული სტილით იყო მოხატული. „მარშლიანთ სასახლე“ მნიშვნელოვნად გამოირჩეოდა სხვა სათავადო სახლებისგან. იმპერატორ ალექსანდრე II-მ თბილისისკენ მოგზაურობის დროს ღამე სწორედ ამ სახლში გაათია, მიუხედავად იმისა, რომ გორის მაზრაში წარჩინებულთა უამრავი სახლი იდგა.

„მარშლიანთ სასახლის“ დიდი დარბაზი ხშირად გამოიყენებოდა შინაური თეატრისათვის. ოთახის სივრცე სცენისა და კულისების გამოყოფის საშუალებას იძლევა. აკუსტიკა, ყოველ შემთხვევაში ბარბაროსულ გადაკეთებამდე, იშვიათად კარგი იყო. ოჯახური გადმოცემით, ამ დარბაზში პირველად წარმოდგინეს გიორგი ერისთავის „გაყრა“ - ოფიციალურ საჯარო წარმოდგენამდე, რომელიც თბილისში 1850 გაიმართა. ამ წარმოდგენიდან აითვლება ევროპული ტიპის ქართული თეატრის დასაწყისი. ალექსანდრეს დაქვრივებული და - მართა თარხან-მოურავი-1858 წელს ცოლად გაჰყვა აგრეთვე დაქვრივებულ გიორგი ერისთავს. მართას საკუთარი შვილები არა ჰყოლია და გიორგის ერთადერთ მცირეწლოვან შვილს, დავითს, დედობა გაუწია. დავით ერისთავი მამის საქმის ღირსეული გამგრძელებელი აღმოჩნდა: მის პიესას „სამშობლოს“ მკვლევრები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ქართული თეატრის ჩამოყალიბებაში. აკაკი ასე გამოეხმაურა „სამშობლოს“ დადგმას:

ძღვნად და საკურთხად სამარადისოდ,
საიმეკვეციო და საამსოფლო,
ღირსმა ერის-ძემ, თვით ერისთავმა,
სამშობლოსათვის დასდგა „სამშობლო“.

ალექსანდრე თარხან-მოურავის შვილი - ვასილ (ვასო) თარხან-მოურავი - XIX საუკუნის სამოციან წლებში „მნათობის“ რედაქციასთან არსებული „სამუდამო თეატრის დამფუძნებელი წრის წევრ-მსახიობად“ მოიხსენიება.

თეატრით გატაცება ვასო თარხან-მოურავის შთამომავლებსაც გადაეცათ. მისი ქალიშვილი ეკატერინე (ირაკლი ზაქარიას ძე მაჩაბლის მეუღლე) ხშირად აწყობდა წარმოდგენებს ამავე სახლში ახალქალაქის სკოლის (სადაც მასწავლებლობდა საშუალო პერიოდში) მოწაფეებისა და თავისი

შვილიშვილების მონაწილეობით. ვასოს ერთ-ერთი შვილთაშვილი - ალექსანდრ ფონ სივერსი - ბელგიაში თეატრის ცნობილი მსახიობია.

ოჯახში შემორჩა მხატვარ გიგო გაბაშვილის მიერ გადაღებული ვასო თარხან-მოურავის ფოტოპორტრეტი. გიგო გაბაშვილს ვასოს გარეგნობა მოსწონდა. მან ვასოს რამდენიმე პორტრეტი შექმნა და თავის დიდ ტილოებში ესკიზების სახით გამოიყენა. საქართველოს ხელოვნების მუზეუმში გ. გაბაშვილის მიერ შესრულებული ვასო თარხან-მოურავის ოთხი ფერწერული პორტრეტია (დიდი ტილოების ესკიზების სახით) დაცული.

„მარშლიანთ სასახლე“ თავისი არქიტექტურითა და მოწყობილობით საგანგებოდ სტუმრების მისაღებად იყო გამიზნული და ერთგვარი კულტურული ცენტრის როლს ასრულებდა. დიდ დარბაზში იდგა ორი როიალი და თეატრალური წარმოდგენების გარდა კონცერტებიც იმართებოდა. 1917 – 1920 წლებში კომპოზიტორი ბორის პროჟოროვსკი, რომელმაც იმ ხანად ოქტომბრის რევოლუციისაგან საქართველოს შეაფარა თავი, ერთ ხანს ცხოვრობდა კიდევ „მარშლიანთ სასახლეში“. ამ სახლში შექმნა მან რამდენიმე ცნობილი რომანსი და პირველად აქ შეასრულეს ეს რომანსები ახალგაზრდა თამარ წერეთელმა და ქეთო ჯაფარიძემ.

„მარშლიანთ სასახლეს“ ხშირად და ხანგრძლივად სტუმრობდა აკაკი წერეთელი. მან ასეთი მოკლე საოხუნჯო ლექსიც კი გამოუთქვა სახლის ბინადართა ბავშვებს:

სკუკა მკლავს, სკუკა მაწუხებს,
მიძნელებს დიხანისას,
წამოვგორდები პასტელზედ,
ვეძლევი მეჩტანისას.

აკაკი აქაურების ნათესავიც იყო და მეგობარიც. განსაკუთრებით მეგობრობდა ვასო თარხან-მოურავის დასთან - ლიზასთან. მისდამი მიწერილი წერილების ნაწილი გამოქვეყნებულია.

„მარშლიანთა“ ახლო ნათესავი იყო ტასო ბაგრატიონ-დავითაშვილი, ივანე მაჩაბლის მეუღლე, რომელიც ხშირად სტუმრობდა ახალქალაქს თავის ოჯახთან ერთად.

შეიძლება ითქვას, რომ თითქმის ყველა იმდროინდელ ცნობილ მწერალსა თუ პოეტს ჰქონდა ნათესაური კავშირი თარხან-მოურავების ოჯახთან და სიამოვნებით სტუმრობდა მათ: გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, ეკატერინე გაბაშვილი, მამია გურიელი, ალექსანდრე ყაზბეგი... არ არის გასაკვირი, რომ ასეთი ხალხი განსაკუთრებულ ატმოსფეროს ქმნიდა.

რევოლუციის შემდეგ ალექსანდრეს შვილიშვილებიდან ახალქალაქის სახლში მხოლოდ ვასო თარხან-მოურავის ქალიშვილი - ეკატერინე მაჩაბელი დარჩა. ოჯახის დანარჩენი წევრები ემიგრაციაში აღმოჩნდნენ. „მარშლიანთ სასახლის“ კერძო საკუთრებაში შენარჩუნება ერთმა უცნაურმა შემთხვევამ განაპირობა.

ერთ-ერთ ბოლშევიკ კომისარს დაევალა გორის მაზრის მრავალრიცხოვანი მამულისა და სახლის ექსპროპრიაცია. რევოლუციამდე ეს კომისარი მღვდელი („მალიარი“) ყოფილა. „მარშლიანთ სასახლის“ მოხატულობამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მასზე. ეკატერინე მაჩაბელი იხსენებდა, რომ კომისარი გაოგნებული დადიოდა ოთახებში და ეფერებოდა კედლის მოხატულობას. ბოლოს გადაწყვიტა ხელი აეღო სახლის ნაციონალიზაციაზე, ხოლო ეკატერინე მაჩაბელს დაევალა შენარჩუნებინა სახლი არსებული სახით და ფაქტობრივად მცველის როლი დაეკისრა. თუმცა სასახლის ეზოში კარის ეკლესია მაინც დაანგრეს. ამ ეკლესიის მოძღვარი ერთ დროს გიორგი კარგარეთელი (ცნობილი მუსიკოსის ია კარგარეთლის მამა) ყოფილა. ასე ყვებოდა ამ ისტორიას თვითონ ეკატერინე მაჩაბელი.

ეკატერინე მაჩაბელი ახალგაზრდობაში, რევოლუციამდე, ხან თბილისში ცხოვრობდა, ხან პეტერბურგში, ხანაც გერმანიაში. სახლის დაცვის მიზნით კი ის ახალქალაქის სახლში დამკვიდრდა. მუშაობა დაიწყო ახალქალაქის სკოლაში გერმანული, ფრანგული და რუსული ენების მასწავლებლად.



„მარშლიანთ სასახლის“ მიმზიდველობა ბევრს ახსოვდა და ამას ეკატერინე მაჩაბლის პიროვნებაც უწყობდა ხელს. სტუმრების ძალიან კარგი დახვედრა იცოდა და შესანიშნავი მოსაუბრეც იყო. წარსულიდან ბევრ საინტერესო ამბავს იხსენებდა. სახლს კვლავ სტუმრობდნენ მწერლები, მხატვრები... ჩამოდიოდა ანა ანტონოვსკაია, რომან „დიდი მოურავის“ ავტორი, ცნობილი მეცნიერი არქეოლოგი ბორის კუფტინი მეუღლით, გერონტი ქიქოძე და მრავალი სხვა. მისი მოულოდნელი გარდაცვალების დღესაც კი 1969 წელს მასთან სტუმრად იყვნენ მხატვარი გოგი მესხიშვილი, არქიტექტორი ვიქტორ (ბუცა)

ჯორბენაძე და კინორეჟისორი სერგო ფარაჯანოვი რომელთაც, მათივე თქმით, ძალიან უყვარდათ მასთან საუბარი და მისი ამბების მოსმენა.

ეკატერინე მაჩაბელს კარგად ესმოდა ამ სახლის უნიკალურობა და მისი კულტურული მნიშვნელობა. სამწუხაროდ, სახლი კი იყო აღიარებული ძეგლად, მაგრამ საჭირო სახსრები მის სათანადო მდგომარეობაში შესანარჩუნებლად არ გამოიყო. ეკატერინე მაჩაბელი, სახლის პირვანდელი სახის შესანარჩუნებლად ყოველ ღონეს ხმარობდა. მისი თხოვნით, სახლი ხან კულტურის, ხან განათლების სამინისტროს მეურვეობის ქვეშ იყო. ეკატერინე მაჩაბელს იმედი ჰქონდა, რომ სამხატვრო აკადემია მომავალი რესტავრატორების ხელით შეაკეთებდა სახლს. ამ სახლში თავდაპირველად სამხატვრო აკადემიის სტუდენტები საზაფხულო პრაქტიკას გადიოდნენ შემდეგ კი სახლი სამხატვრო აკადემიის საზაფხულო ბაზად გარდაქმნეს. მთავრობამ სამოთახიანი სახლი აუშენა ეკატერინეს შთამომავლებს, თითქოს „მარშლიანთ სასახლის“ რესტავრაციის ან კონსერვაციის მიზნით. სამწუხაროდ, აკადემიამ რესტავრაციის მაგივრად დაიწყო სახლის გადაკეთება და პირვანდელი სახე დააკარგინა. ცდილობდნენ დაენგრიათ ეზოში ძველი აბანოც კი, რომელიც სავარაუდოთ აშენებულია XVIII საუკუნისა.

ეკატერინე მაჩაბლის მემკვიდრეების მოთხოვნით და სასამართლოს გადაწყვეტილებით სახლი გათავისუფლდა აკადემიის მეურვეობისგან და ეკატერინე მაჩაბლის ანდერძის თანახმად, მის მემკვიდრეებს დაუმტკიცდა საკუთრებაში.


შენიშვნა: პასპორტის წარმოდგენილი პუნქტის განუყოფელი ნაწილია თანმხლები კოპიო "კასპის რაიონის, სოფ ახალქალაქში, უბანი გარიყულას, თარხან-მოურავების /მარშლიანთ/ სასახლის ისტორიულ, საარქივო და ბიბლიოგრაფიული გამოკვლევა (მშეაღობლი შეილი, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, ისტორიის ბუნების და ძეგვლთა დაცვის გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო, 1988 წ.)

12.2 გადაკეთება და დანაკარგი, რამაც შეცვალა ძეგლის თავდაპირველი სახე

იხ. პუნქტი 14 "მხატვრულ-ისტორიული რეზიუმე"

13. ძეგლის აღწერა

ძეგლის გარემო



■ - "ძეგლი"-შენობები ● - აუზი
--- - საპარადო შესასვლელი (გაუქმებული)
--- - ამჟამინდელი შესასვლელი
სასახლის ტერიტორია

თარხან-მოურავების საგვარეულო სასახლის არქიტექტურული კომპლექსის ტერიტორია იმყოფება სოფელ გარიყულას შუაში, რომელიც მჭიდროდ ეკვრის სოფელ ახალქალაქს კასის რაიონში. კომპლექსის ზედა ტარასიდან და თვით სასახლიდან იხსნება ხედი სოფელ გარიყულას, სოფელ ახალქალაქის და მდინარეები თეძისისა და მტკვრის ხეობზე კავკასიონის ქედამდგობიექტის განლაგებიდან და მნიშვნელობიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტერიტორია, რომელიც თავდაპირველად ეკუთვნოდა მამულს, იყო მნიშვნელოვნათ დიდი, ვიდრე ამჟამინდელი კადასტრის წითელი ხაზებით შემოხაზული ტერიტორიაა. თავდაპირველი ძირითადი საპარადო მისასვლელი გზა სოფლიდან საკვლევ

ტერიტორიაზე ხორციელდებოდა სამხრეთის მხრიდან (დოევანდელი სპორტული მოედნის გასწვრივ), რომლის აღდგენა ამჟამად შეუძლებელია, რადგან სოფლის გზასა და ობიექტის ტერიტორიას შორის განლაგებულია მეზობელი ნაკვეთები საცხოვრებელი განაშენიანებით. დღეს არსებული ერთადერთი მისასვლელი გზა ტერიტორიაზე სავარაუდოთ არსებობდა ადრეც როგორც მეორეხარისხიანი, მომსახურე. ეს ვიწრო გზა გადის სოფლის საცხოვრებელ განაშენიანებას და ხევს შორის.

ყველაზე ახლო შენობა ჩვენ ობიექტთან არის 2-სართულიანი საცხოვრებელი სახლი, რომელიც ეკუთვნის ასევე საკვლევე ობიექტის მფლობელებს. როგორც აღნიშნულია 12.1 პუნქტში სამი ოთახი ამ შენობისა აშენებული იქნა სახელმწიფოს

მიერ 1950-ან წლებში ეკატერინე მაჩაბლის შთამომავლებისათვის. სოფელ გარიყულას დანარჩენ განაშენიანებას შორის კიდევ შემორჩენილია საცხოვრებელი და საზოგადო შენობები, აშენებული XIX ს. ბოლოს და XX ს. დასაწყისში, რომლებზეც შეიძლება რეკომენდაციის გაწევა მათი საქართველოს დაცული ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების ნუსხაში შესატანად (ამჟამად ამ შენობებიდან მხოლოდ "ბაღვარსკის სახლი-აგარაკი", აშენებული XIX საუკუნის ბოლოს, შედის ამ ნუსხაში №1993)
არქიტექტურულ-მხატვრული კომპოზიცია - იხილეთ პასპორტის განუყოფელი ნაწილი, თანმხლები კოპიო "კასპის რაიონის, სოფ ახალქალაქში, უბანი გარიყულას, თარხან-მოურავების /მარშლიანთ/ სასახლის ისტორიულ, სარქივო და ბიბლიოგრაფიული გამოკვლევა (მშავლობლი შეილი, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, ისტორიის ბუნების და ძეგლთა დაცვის გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო, 1988 წ.) - იხილეთ პუნქტი 14 "მხატვრულ-ისტორიული რეზიუმე"
მასალა და კონსტრუქციები სასახლე მდებარეობს კასპის რ-ში მდინარე თეძმის ხეობის სამხრეთით. რელიეფი ტერასულია და ეშვება ჩრდილო-დასავლეთითა და ჩრდილო-აღმოსავლეთით. მიმდებარე ტერიტორია ძველი კვლევების საფუძველზე შესდგება არაერთგვარი თიხებითა და თიხნარებით, რომელშიც ხშირია ღორღის, ხვინჭის და კაჭარის ჩანაერთები. გრუნტი მყარი კონსისტენციისაა და ნორმატიული წინაღობა $R=2,0 - 2,5$ კგ/ სმ², რაც არის აღნიშნული შენობის ფუძედ გამოყენებული. სასახლე აგებულია XIX საუკუნის 50-იან წლებში. იგი სწორკუთხა არქიტექტურული გეგმარებისაა ზომებით 16X27 მ, ხ-14მ., შენობა ორსართულიანია. შენობის ისტორიული ნაწილის მზიდი კონსტრუქცია აგურის კაპიტალური კედლებია, რომელიც განლაგებულია ფლეთილი ქვის ლენტურ საძირკველზე $b=90$ სმ, $h=0,6-0,8$ სმ. შენობას გარშემო მიშენებული აქვს ლითონის დგარებზე მოწყობილი რ/ბეტ. მონოლითური ფილით აივნები. აივნების ფილები მოწყობილია ლითონის კოჭებზე (ახალი მშენებლობა). სართულშუა გადახურვები მოწყობილია ხის კონსტრუქციებით. ხის კონსტრუქციებითვეა მოწყობილი სასხვენე და ნივნიური გადახურვები. სეისმურობის მიხედვით რაიონი 8-ბალიანია. დღეისათვის შენობის მდგომარეობა შემდეგნაირია. შენობა აგებულია ბუნებრივ ტერასაზე, რომელიც მოწესრიგებულია ჩრდილო-დასავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან საყრდენი კედლებით. შენობის ჩრდილო-დასავლეთით კედელზე გაჩენილია გამჭოლი ბზარი, რომელიც, ჩემი აზრით, გამოწვეულია არა იმდენად გრუნტის ჯდომით, არამედ მისი მცირედი მოცურებით, რამაც გამოიწვია საძირკვლის ლენტის ხეთქვა. შენობის ზღუდარების უმეტესობას გააჩნია ბზარები, რაც გამოწვეულია თაღოვანი კონსტრუქციების კლიტის ქვებში დაზიანებებით. შენობას გაძლიერების მიზნით მოწყობილი აქვს ჩრდილო-დასავლეთით კონტრფორსები. შენობა შელესილია გარეთა და შიგა მხრიდან და მასზე ბზარები მცირეა, რაც მიგვანიშნებს იმაზე, რომ შენობის მოცურება ინტენსიურად არ მიმდინარეობს, მაგრამ შეიმჩნევა, რომ ჩრდილო-დასავლეთის კედელი ოდნავ გადახრილია. გრუნტის მცირედი მოცურება შესაძლებელია, გამოწვეულია ზედაპირული ფენების არაერთგვაროვნებით და, რადგან საძირკვლების ჩადრმავება არაა დიდი, მოხდა მისი ზუპესთან ერთად გადაადგილება - ჩაცურება. შენობის სართულშუა გადახურვა, როგორც ზევით აღვნიშნეთ, მოწყობილია ხის კონსტრუქციებით, მაგრამ მისი სიმყარე არაა დამაკმაყოფილებელია, მასზე დინამიური დატვირთვა იწვევს ვიბრაციას და საჭიროებს გაძლიერებას, ასევე ცუდ მდგომარეობაშია სასხვენე და ნივნიური გადახურვის კონსტრუქციები, სასხვენე კოჭები ზოგიერთ ადგილზე ატმოსფერული ნალექების ჩამოსვლისაგან მოწყობრიდანაა გამოსული, ხის ნივნიები სახურავზე განლაგებულია არათანაბრად, ბევრი მოთვანი დაზიანებულია. ხის შელარტყვა ზოგიერთ ადგილზე დაწეულია ნივნიების არათანაბარი განლაგების გამო და სახურავი ამის გამო დაბრეცილია. ჩვენს მიერ შენობის რეაბილიტაციის შემთხვევაში შემოთავაზებულია გამაგრების შემდგომი რეკომენდირებული სამუშაოები, კერძოდ: - ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან კონსტრუქციების მოხსნის შემთხვევაში აუცილებელი იქნება საძირკვლების დადრმავება-გაგანიერება ფუძეში ჭადრაკისებრი

მეთოდით, რათა საძირკვლების დაყრდნობა მოხდეს ფუძის ღრმა ფენებში - ძირითად ქანებში;

- შენობის პირვანდელი სახის აღსადგენად აუცილებელი იქნება ცემენტის ბათქაშის ჩამოშორება, რაც გამოგვირიცხავს შენობის გამაგრების ძველ კლასიკურ მეთოდს ლითონის მოხარჩოებითა და კედლების/ბეტ-ის მონოლითურ პერანგში ჩასმით, ამიტომ რეკომენდირებულია არსებული კედლები ბათქაშის ჩამოსუფთავებამდე გამაგრდეს I სართულის გადახურვის და სასხვენე გადახურვის ღონეებზე სპეციალურად ბურღვისა დაარმირების მეთოდით, რაც შენობას გაუჩენს არარსებულ ანტისეისმურ ფარულ სარტყელებს;

- ხის სართულშუა გადახურვის გაძლიერების შემთხვევაში აუცილებელია გაიხსნას იატაკი, შემოწმდეს ხის კოჭები, მათი ვარგისიანობის შემთხვევაში შუალედებში ჩაემატოს ახალი კოჭები, დაზიანებული შეიცვალოს;

- თუ გადაწყდა გადახურვის მოწყობა რ/ბეტ-ის მონ. ფილით, მაშინ განხორციელდეს იატაკის კონსტრუქციის მთლიანად დემონტაჟი და მოეწყოს რ/ბეტ-ის მონოლითური ფილა ლითონის კოჭებზე;

- სასხვენე და ნივნივური გადახურვის კონსტრუქციები შეიცვალოს ისევ ახალი ხის კონსტრუქციებით.

შენიშვნა: პასპორტის წარმოდგენილი პუნქტის განუყოფელი ნაწილია თანმხლები კოპიები

1. **"სარემონტო სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი"** (1938 წელი, ე.ხმელნიცკი, მკალაშნიკოვი, კულტულის ძეგლთა დაცვის განყოფილება, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო);

2. **"საინჟინრო გამოკვლევა"** (1988 წ., დ. დათუნაშვილი, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლთა დაცვის და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო)

მითითება მონუმენტური ფერწერის, პლასტიკის და ეპიგრაფიკის ნიმუშებზე.



სასახლის შენობის მეორე სართულის თითქმის ყველა ოთახი და შემინული "ლოჯია" თავდაპირველად გამორჩეული იყო თავისი დეკორით: კედლები, ბუხრები და ჭერები დაფარული იყო ფერადი მხატვრობით. ნაწილი ჭერისა და ჭერის კარნიზებისა დამშვენებული იყო თაბაშირის ნაძერწობით სარკის ინკრუსტაციით (დიდი ნაწილი მოხატულობისა და ნაძერწობისა დაკარგულია ან დაზიანებულია; ნაწილი ბუხრებისა ამოშენებულია ან დაშლილია); ხის ფანჯრების რთული მოხატულობის ფრამუგები შემინული იყო ფერადი მინებით ("მუშარაბი", ფერადი შემინვა არ შემორჩენილა, შემორჩენილი ფანჯრის ალათები გვიანდელია); ერთერთი ოთახის ("ჩინური ოთახი") ფანჯარა შემინული იყო "ვენეციური" მინით, ხოლო ჩარჩო დაფარული იყო ბრინჯაოსფრად (ფანჯარა არ შემორჩენილა, ის დაფიქსირებულია ფასადის საარქივო ფოტოებზე); ოთახების კედლები თავდაპირველად დაფარული იყო აბრეშუმის შპალერით (მთლიანად დაკარგულია); შემინული "ლოჯის" შუაში დაყენებული იყო ქვის ლარნაკი-შადრევანი (დაზიანებული შენახულია კომპლექსის ტერიტორიაზე). ინტერიერის დეკორი შესრულებული იყო აღმოსავლური (სპარსეთი, ჩინეთი) და ევროპული გამოყენებითი ხელოვნების ტენდენციების გავლენით.

14. მხატვრულ-ისტორიული რეზიუმე

როგორც აღნიშნულია "ისტორიული ცნობების" №12 პუნქტში საკვლევ კომპლექსს გააჩნია საკმაოდ რთული 200-წლიანი ისტორია, დაკავშირებული მშენებლობასთან, ნგრევასთან და გადაკეთებებთან.

განსაკუთრებით ეს ეხება ძირითად შენობას - თარხან-მოურავების საგვარეულო საცხოვრებელ სახლს (ე.წ. "სასახლეს").

ამ შენობის ფასადებზე და ინტერიერებში წარმოშობილი ყველა ცვლილებების აღსანიშნავად სავალდებულოა შესწავლილი იქნეს არა მარტო მოგონებები და ბიბლიოგრაფია, არამედ გრაფიკული და ფოტომასალები. შენობის მდგომარეობის ცვლილებების ყველაზე დიდი ინფორმაცია წარმოდგენილია 1938 წლის აპრი-აგვისტოს "სარემონტო სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტში" (*ე.ხმელნიცკი, მკალაშნიკოვი, კულტულის ძეგლთა დაცვის განყოფილება, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო*). აქტს თანახლავს ობიექტის აღწერის "შავი" ჩანაწერი; მასალების აღწერა და შესრულებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა. დოკუმენტი, რომელშიც წითელი ფერით გამოყოფილია ის სამუშაოები, რომელმაც შეიტანა ცვლილება ობიექტში, თანახლავს წარმოდგენილ პასპორტს.

ამ დოკუმენტების მხედვით სწორედ 1938 წელს ჩატარებული სარემონტო სამუშაოების (მე-2 სართულის ინტერიერში შესრულებული სამუშაოები აღწერილია ცალკეული ოთახების მიხედვით) დროს:

- შენობის გარშემო გასწორებული იქნა ნაყარი მიწა და ფასადების მთელ პერიმეტრზე მოწყობილი იქნა 1,5 მეტრი სიგანის ტროტუარი ნაფლეთი ქვით (შემონახული ფოტოების მიხედვით ზემო ტერასა შენობის ირგვლივ ეშვებოდა ქვედა დონეებამდე განიერი საფეხუროვანი ტერასებით, შესრულებული რიყის ქვის წყობით ორ პორიზოტალურ "ნაძვის" ფორმის რიგად; ობიექტის მთელი ტერიტორია შემოღობილი იქნა ასკილის და მხვლეტავი ბუჩქებით; ასევე გაშენებული იქნა ხილის ხეები; დამზადებული და დაყენებული იქნა ხის აჟურული ჭიშკარი ძველი დაკარგულის ანალოგიით; სოფლის მაგისტრალური წყალსადენიდან მოთუთუებული წყალგამყვანი მილებით შემოყვანილი იქნა წყალი;



- ადრენდელი კრამიტის სახურავი (უცნობია თავდაპირველი კრამიტის სახეობა) შეცვლილი იქნა ახალი მარსელის კრამიტით, მანამდე შერეშნებული იქნა და ნაწილობრივ გამოცვლილი სახურავის მზიდი ხის კონსტრუქციები და მისი შეღარტყვა; სახურავზე გასასვლელად მოეწყო ახალი სამერცხლული; მოეწყო წყალსადინარი მილები;

- დაზმადებული და ჩაყენებული იქნა აღმოსავლური რთული ნახატი ფანჯრის ალათები 2-სართულს დახურულ ვერანდაზე; შეცვლილი იქნა 17 ფანჯრის ალათა და 4 კარი;

- ამოშენებული და აღებული იქნა რამდენიმე ბუხარი; ზოგიერთ ბუხარზე მოცილებული იქნა ძველი ნაღესი და გადაკრული გაჯით; მოწყობილი იქნა რამდენიმე ახალი "ჰოლანდიური" ღუმელი;



- შიდა ხის კიბის რიკულები და საფეხურები დამზადებული და მოწყობილი იქნა ძველის ანალოგიით;

- განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ შემორჩენილი მხატვრობა კედლებზე და ჭერებზე "არ გარემონტებულა". სხვა სიბრტყეებიდან (მათ შორის ავარიული) მოხსნილი იქნა ნაღესობა, ზოგიერთზე შეცვლილი იქნა ხის შეღარტყვა; მთლიანად ჩამოფხეკილი იქნა "ძველებური შპალერი" და გადაღესილი იქნა გაჯით; კედლები ნაწილობრივ შეღებილი იქნა წებოვანი საღებავით (ისევე, როგორც ჭერები), ნაწილობრივ "პანელების სიმაღლეზე" - ზეთოვანი საღებავით;

- აღმოსავლეთ ფასადზე დაშლილი იქნა ღია ხის აივანი (27,5 მ²), გაკეთებული ახალი ღია ხის აივანი ბოძებზე, გადახურული ხის კონსტრუქციებზე მოწყობილი კრამიტის სახურავით (69, 0 მ²);

- ფასადის კედლები მთიანად გაღესილი იქნა (864,0 მ²).

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე დოკუმენტში არის ჩანაწერი შედგენილი ხელოვნებათმცოდნე დ.გორდევის და არქიტექტორ ნ.ჩუბინაშვილის მიერ, რომელშიც სხვა ამბებთან ერთად აღნიშნულია: "... იმისათვის, რომ თუნდაც ერთ ოთახში შენახული იქნეს კარ-ფანჯრების სტილური ანსამბლი - გადატანილი იქნეს ნაძერწი მორთულობიანი კუთხის ოთახში სამხრეთ ფასადზე შემორჩენილი ფანჯრის ალათები და მეზობელ ოთახებში. ხოლო დანარჩენ ოთახებში, სადაც აკლია კარ-ფანჯრები, მოწყობილი იქნეს ახალი, ჩვეულებრივი სადა ფანჯრები. ქვედა სართულზე ყველგან გაკეთდეს სადა კარ-ფანჯრები. შემინულ "გალერეაში" შეკეთდეს ძველი ფანჯრის ჩარჩოები...".



- აქვე სავალდებულოა აღინიშნოს, რომ ამ დოკუმენტის მიხედვით ყველა სარემონტო სამუშაო შესრულდა ადგილობრივი კოლმეურნეობის მუშებით შიშანსკის მიერ 1951 წელს გადაღებული ფოტოებით თუ ვიზუალებით, ზემოთ აღნიშნული სამუშაოები შესრულებული იყო არც ისე ხარისხიანად. "საპარადო" ფასადის ფოტოდან ჩანს, რომ მეორე სართულის აივნები სამხრეთ "საპარადო" ფასადზე აღარ არის (ორი პატარა და შუაში განიერი).

მას შემდეგ, რაც სასახლე გადაეცა თბილისის სამხატვრო აკადემიას, 1956 წელს ჩატარებული იქნა შედარებით დაწვრილებითი ფოტოფიქსაცია (ფოტოგრაფი ბარტიშევსკი) და არქიტექტურული აზომვები (არქიტექტორები ლ.ხიმშიაშვილი, რ.ცინცაძე, გ.ჭეიშვილი). ფოტოსურათებზე ჩანს, რომ ინტერიერში დარჩენილი მოხატულობა დაზიანებულია (გაფხაჭნილია) წარწერებით, დეკორირებული ჭერების რამდენიმე ადგილას ხის ლარტყა "ჩამოყიდებულია". არქიტექტურული აზომვებით შეიძლება ვიმჯგულოთ, რომ:

- "საპარადო"-სამხრეთის და აღმოსავლეთის ფასადებზე არ არის მეორე სართულის აივნები. მაგრამ შეიძლება განისაზღვროს აივნების ადრინდელი ადგილსამყოფელი. მისი იატაკის, გადახურვის და მოაჯირების კონსტრუქციების "შტრაბების" მიხედვით კედლებზე;

- ჩრდილოეთის და სამხრეთის ფასადები კომპოზიციურად ვერტიკალურად ერთნაერად არის დაყოფილი სამ ნაწილად. დაყოფა ხდება პილასტრებით, რომლებიც დამშვენებული სართულშუა ბაზებით და ტრახელიონებით. ჩრდილოეთის ფასადის ცენტრალურ ნაწილს გააჩნია განიერი მუშარაბი-ლოჯია, შესაბამისად სამხრეთ ფასადის მეორე სართულის ცენტრალურ ნაწილს ადრე გააჩნდა დიდი აივანი. ფასადების გვერდითი ნაწილების (რიზოლიტების) კომპოზიცია ასევე მსგავსად არის გადაწყვეტილი (სხვადასხვანაირი, მაგრამ ყველა სამმაგად დაყოფილი ღიობები ორივე სართულზე). გამომდინარე ზემოთ აღნიშნულიდან სამხრეთის ფასადის გვერდით ნაწილებზე (რიზოლიტებზე) ისევე, როგორც ჩრდილოეთის ფასადზე ამჟღავნებული იყო "დაკბილული" (ქონგურები) პარაპეტები პატარა დონუონებით პილასტრების თავზე. სასახლის რესტავრაციის დროს რეკომენდირებულია გათვალისწინებული იქნეს ეს ფაქტი.

1956 წლის და 1988 წლის ფოტოფიქსაციის შედარებით (ფოტოგრაფი გ.მორბედაძე), ასევე არქიტექტურული აზომვებით (არქიტექტორები ი. შარაშენიძე, ვ. ტარასაშვილი) შეიძლება ავლნიშნოთ შემდეგ დანაკარგებზე და გადაკეთებებზე:

- განადგურებულია "ჩინური ოთახის" კამარისებული ჭერი და კედლების მოხატულობა (1938 წელს შეთეთრებული იქნა მხოლოდ ერთი შედრმავეებული პანელი) - ჭერი მთლიანად მოხსნილია, კედლის მოხატულობა დასერილია ნაჭდევეებით და დაფარული ნალესის სქელი ფენით და შეღებილია; მეორე სართულის ცენტრალურ დარბაზში კედლები და ბუხარი ასევე მთლიანად დაფარულია სქელი ნალესით დაშეღებილია; ცენტრალური დარბაზის "სასცენო" სათაესოს (თაღის იქით) კედლების და ჭერის მოხატულობა, და კარნიზის მუქარნასები ("სტალაქტიტები") მთლიანად განადგურებულია; მეორე სართულის შემინულ ვერანდაზე ("ლოჯია") მნიშვნელოვნადაა დაზიანებული კედლის მოხატულობა; აქ დემონტირებულია ქვის შადრევანი, რომელიც ინახება კომპლექსის ტერიტორიაზე;

- მთლიანად აღებულია შიდა ხის დახვეული კიბე და მის ნაცვლად მეზობელ სათავეში მოწყობილია ახალი კიბე მოზაიკის საფეხურებით ლითონის კასაურებზე;

- მთლიანად მოხსნილია თავდაპირველი ხის ფიცრული იატაკი და შეცვლილია პარკეტით მეორე სართულზე და ცემენტის მოჭიმვით და კერამიკული ფილებით 1 სართულზე;

- მთლიანად აღებულია აღმოსავლეთის ფასადის ფლიგელი თავის აივნით; დასავლეთის ფასადზე მიშენებულია ორი კონტრფორსი და მათ შორის ორი 1-სართულიანი სამეორნეო დანიშნულების მოცულობა 1 სართულის ოთახის გვერდით,

რომელშიც იყო მოწყობილი სამზარეულო, ხოლო პირველი სართულის ცენტრალურ დარბაზში - სასადილო; დასავლეთის და ჩრდილოეთის მხარეს (აბანოს შენობის გასწვრივ) მოწყობილია საყრდენი კედელი;

- თითქმის მთლიანად შეცვლილია ფანჯრის ხის ჩარჩოები მთელ შენობაში; შეცვლილია (გამარტივებულია) უმრავლესი კარ-ფანჯრების ზღუდრების კონფიგურაცია ფასადებზე; "ჩინურ" ოთახში ფანჯრის ჩარჩო დაფარული ბრინჯაოს საღებავით 1938 წელს დემონტირებული იქნა და მის ადგილზე მოწყობილი იქნა ჩვეულებრივი სწოკუთხა ფანჯარა; ასეთივე ფანჯრები მოეწყო მეორე სართულის ლოჯიაში;

- მეორე სართულის მთელ პერიმეტრზე მოწყობილია განიერი რკინა-ბეტონის აივანი ლითონის საყრდენებზე და დახურულია სამხრეთის და აღმოსავლეთის ფასადების მხრიდან;

- კრამიტის სახურავი მთლიანად შეცვლილია თუნუქის საფარით; ჩრდილოეთის ფასადის გვერდითა "დაკბილული" პარაპეტი განადგურებულია; ფასადის მთელ პერიმეტრზე მოწყობილია სახურავის დაბალი პარაპეტი;

- ფასადის კედლები მთლიანად ახლიდან არის შეღესილი ქვიშა-ცემენტის ხსნარით;

- ხის ჭიშკარი მოხსნილია და შეცვლილია ლითონის ჭიშკრით



მას შემდეგ, რაც 2000 წელს ობიექტი გადავიდა თავდაპირველი მფლობელების შთამომავლების საკუთრებაში, ჩატარებული იქნა სასახლეზე შემდეგი სამუშაოები:

- დემონტირებული იქნა რკინა-ბეტონის აივნები ჩრდილოეთის და დასავლეთის ფასადებზე;

- დემონტირებული იქნა ორი სამეურნეო სათავსო დასავლეთის ფასადის მხრიდან;

- მოხსნილი იქნა სახურავის პარაპეტის ნაწილი ჩრდილოეთის ფასადის მხრიდან;

- ჩრდილოეთის ფასადზე მოხსნილია ნაღესობა; მეორე სართულის "ლოჯიაში" მოხსნილი იქნა გვიანდელი (აკადემიის მფლობელობის დროინდელი) ამოშენებული კედლები და აღდგენილი იქნა ძველი სახით ხის შუშაბანდი.



1956 წ.

2014 წ.

არქიტექტურულ კომპლექსში შემავალი აბანოს შენობის მშენებლობის დრო, როგორც ამტკიცებენ წინა მკვლევარები, განეკუთვნება XVII-XVIII საუკუნეს. მათი მტკიცებულება ემყარება ზოგიერთ ცნობას და გადმოცემას, ასევე გარეგან სახეს და საამშენებლო მასალებ (ზუსტი დოკუმენტალური წყაროები არ არსებობს).

- გამომდინარე ადრეული საარქივო ფასადების ფოტოსურათებიდან და გრაფიკული აზომვებიდან შეიძლება ვამტკიცოთ, რომ შენობას დაკარგული აქვს ორი გვერდითა მოცულობა თავისი შესასვლელით (სავარაუდოთ "სათბობი" და გასახდელი და დასასვენებელი სათავსო). დღეისათვის შესაძლებელია დაზუსტდეს დაკარგული მოცულობების კონფიგურაცია. შენობის დაკარგული მოცულობების რესტავრაციის აუცილებლობის შემთხვევაში პროექტის ავტორებმა უნდა იხელმძღვანელონ ადრეული დაფიქსირებული მასალებით და არსებული ანალოგიებით. თბილისის სამხატვრო აკადემიის მიერ კომპლექსის ექსპლუატაციის დროს აბანოს ორივე გუმბათის აგურის წყობიდან ამოღებული იქნა "ჩამკეტი" (ცენტრალური, დამაფიქსირებელი) აგურები. რესტავრაციის დროს პირველ რიგში სავალდებულოა აღდგენილი იქნეს ეს "ჩამკეტები". მას შემდეგ, რაც 2000 წელს ობიექტი გადავიდა თავდაპირველი



მფლობელების შთამომავლების საკუთრებაში აბანოს შენობის ფასადებიდან მოხსნილი იქნა ქვიშა-ცემენტის ნაღესობა შესრულებული 1960-80 წლებში. ორ-გუმბათიანი მოცულობის სამხრეთის მხრიდან მოწყობილი იქნა 4-საფეხურიანი მოედანი ადრე აღებული აბანოს სათავსოს ადგილზე.

დეკორატიული 8-კუთხა აუზი შესრულებული დამუშავებული დიდი ყვითელი ქვიშა-ქვებით, განლაგებულია ქვედა ტერასაზე, სასახლის სამხრეთის

ფასადის წინ. სავარაუდოდ ის მოწყობილია სასახლის მეორე სართულის დაშენების დროს - ანუ XIX საუკუნის შუახნებში. ირგვლივ მიმდებარე მიწის ნაკვეთების რელიეფიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღმოსავლეთ ფასადისაკენ, რომელიც თავისი არქიტექტურული კომპოზიციიდან გამომდინარე წარმოადგენს ცენტრალურს მოემართებოდა სოფლიდან (მამულისაკენ) პირდაპირი საპარადო გზა-ხეივანი, რაც განსაკუთრებით კარგად ჩანს აეროფოტოგადაღებაზე. დღეისათვის აუზთან და მიმდებარე ტერიტორიაზე ნაწილობრივ დაყრილია ნაყარი მიწა. აუზის ქვებს გააჩნია მცირე მონატეხები და გამოფიტვა-კოროზია. წყლის მომარაგება გადასახედია და საჭიროების შემთხვევაში აღსადგენია. იმ პერიოდის აუზების ანალოგიიდან გამომდინარე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აუზის ცენტრში იდგა დეკორატიული მცირე ფორმა, რომელიც მესაკუთრეების სურვილის შემთხვევაში შეიძლება იქნეს დაყენებული.

საკვლევე ტერიტორიის მესაკუთრეების მითითებით, პასპორტზე მუშაობის დროს ტოპოგრაფიულ გადაღებაზე აღნიშნული იქნა ადგილი, სადაც 1920-იან წლებში დანგრეული იქნა კარის ეკლესია. კომპლექსის რესტავრაციის და რეკონსტრუქციის სამუშაოების ჩატარების დროს რეკომენდირებულია გახსნილი იქნეს დანგრეული ეკლესიის საძირკვლები. ხოლო მესაკუთრეების სურვილის შემთხვევაში დაკონსერვებული იქნეს გამოვლენილი საძირკვლები ან საძირკვლების ზომების და პროპორციების მიხედვით, არსებული ანალოგიებით აშენდეს ახალი ეკლესია

ამჟამად, ობიექტის მესაკუთრეები სასახლეს საცხოვრებლად არ იყენებენ. ისინი შეძლების-დაგვარად ცდილობენ შეუნარჩუნონ სახლს ამჟამინდელი მდგომარეობა მაინც. ფიქრობენ, რომ ფინანსური დახმარების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება სახლი აღდგეს პირვანდელი სახით და კვლავ გარკვეული კულტურული ცენტრის როლი იტვირთოს. სახლის არქიტექტურა და თბილისთან სიახლოვე შესაძლებლობას იძლევა, კვლავაც გაიმართოს აქ სპექტაკლები, გამოფენები, კონცერტები. შეიძლება დაიგეგმოს ღონისძიებები სულ ახლოს მდებარე და უკვე საკმაოდ პოპულარულ „არტ-ვილასთან“ ერთად. მრავალფეროვანი და მომხიბლავი ბუნება და ახალქალაქის შემოგარენის მრავალი მნიშვნელოვანი ისტორიული ძეგლი ტურისტებისთვის განსაკუთრებით მიმზიდველს ხდის „მარშლიანთ სასახლეს“.

15. ძეგლზე ჩატარებული სამუშაოები (ზოგადი აღწერა, დრო, ავტორი, დოკუმენტაციის შენახვის ადგილი)

იხილეთ პუნქტი 14 - "მხათვრულ-ისტორიული რეზიუმე". აღწერილი დოკუმენტაცია ინახება საქართველოს ძეგლთა დაცვის სააგენტოს არქივში

16. კარტოგრაფიული მითითება

X კოორდინატი	044.33334
Y კოორდინატი	41.87930
სიმაღლე ზღვის დონიდან	682 მეტრი

17. საკადასტრო ინფორმაცია (მიწის ნაკვეთის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი)

67. 17. 40. 219

18. ინფრასტრუქტურა

უახლოესი დასახლებული პუნქტი	ობიექტი განლაგებულია შიგ სოფელ გარიყულაში
მანძილი სამანქანო გზიდან ძეგლამდე	
მანძილი უახლოესი რკინიგზის სადგურიდან ძეგლამდე	

19. საილუსტრაციო მასალა

ფოტოები	- 1951 წელი (შიმანსკი) - 1956 წელი (ბარტიშევსკი) - 1984 წელი, "ლეგენდა სურამის ციხეზე" (კ.ფ. სპარაჯანოვი, დაბაშიძე) - 1988 წელი (გ.მორბედაძე) - 2013-2014 წელი (ალა პროზოროვა)
გენგემა/სიტუაციური გეგმა	ტოპოგრაფიული გეგმა (1988 წ.; 2014 წ.); გენგემა

გრაფიკული მასალა
/არქიტექტურული
აზომვითი ნახაზები/

**I. აზომილია ("კროკები" და "ხელით" გამოხაზულია
(ნახაზები) 1956 წელში
გადატანილია DWG (AvtoCad) პროგრამაში 2014 წელში**

სასახლე

1. 1 სართულის გეგმა
2. 2 სართულის გეგმა
3. მთავარი (სამხრეთ-დასავლეთის) ფასადი
4. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ფასადი
5. სამხრეთ-აღმოსავლეთის ფასადი
6. ჩრდილო-დასავლეთის ფასადი
- 7-14. ჭრილი 1-1, 2-2, 3-3, 4-4, 5-5, 6-6, 7-7, 8-8

ინტერიერის დეტალები

- 15-18. სარკმელის დეტალები
19. 2-სართ. ცენტრალური დარბაზიდან აივანზე ასასვლელი კარი
20. ბუხრები კიბის უჯრედუის სათავსოში და 2-სართულის ოთახში
21. ბუხრები 2-სართულის ჩრ-დას.კუთხის და სასტუმრო ოთახებში
22. კუთხის ბუხარი

აბანო

23. გეგმა; ჩრდილოეთის, დასავლეთის და აღმოსავლეთის ფასადები; ჭრილები 1-1, 2-2, 3-3 და 4-4

**II. აზომილია ("კროკები" და "ხელით" გამოხაზულია
(ნახაზები) 1986-88 წლებში
გადატანილია DWG (AvtoCad) პროგრამაში 2014 წელში**

სასახლე

1. 1 სართულის გეგმა
2. 2 სართულის გეგმა
3. მთავარი (სამხრეთ-დასავლეთის) ფასადი
4. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ფასადი
5. სამხრეთ-აღმოსავლეთის ფასადი
6. ჩრდილო-დასავლეთის ფასადი
- 7-14. ჭრილი 1-1, 2-2, 3-3, 4-4, 5-5, 6-6, 7-7, 8-8

ინტერიერის დეტალები

- 15-18 ბუხარი №1, №2, №3, №4

აბანო

19. გეგმა
20. სახურავის გეგმა
21. ჩრდილოეთის ფასადი
22. დასავლეთის და აღმოსავლეთის ფასადები
- 23-25 ჭრილი 1-1, 2-2, 3-3, 4-4

**III. აზომილია და გამოხაზულია DWG (AvtoCad) პროგრამაში
2014 წელში**

სასახლე

1. სართულის გეგმა
2. 2 სართულის გეგმა
3. მთავარი (სამხრეთ-დასავლეთის) ფასადი
4. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთის ფასადი
5. სამხრეთ-აღმოსავლეთის ფასადი
6. ჩრდილო-დასავლეთის ფასადი
- 7-14. ჭრილი 1-1, 2-2, 3-3, 4-4, 5-5, 6-6, 7-7, 8-8

აბანო

15. აბანოს გეგმა; 8-კუთხა დეკორატიული აუზის (თავდაპირველი) გეგმა და ჭრილი; ახლი საცურაო აუზის გეგმა და ჭრილი

20. დამცავი ზონის სქემა და ცვლილებები (დოკუმენტის სახელწოდება, თარიღი, ავტორი, სამართლებრივი საფუძველი, გრაფიკული გამოსახულება)

რეესტრით განსაზღვრული წითელი ხაზებით შემოსაზღვრული ტერიტორია

21. დამატებითი ინფორმაცია

პასპორტი შესრულებულია ციფრულ ვერსიაში (PDF, JPG და DMG ფორმატში)

22. პასპორტის შემდგენელი

არქიტექტორი - ალა პროზოროვა
კონსტრუქტორი - ალექსანდრე მჭედლიშვილი
ისტორიული ნაწილი - დალი სახოკია, გიორგი მაჩაბელი,

23. პასპორტის შედგენის თარიღი

ნოემბერი 2013 - მარტი, 2014 წელი

საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის საადრიცხვო
ბარათი
№



1. სახელწოდება

სოფელი გარიყულა, თარხნ-მოურავების სასახლის კომპლექსი (“მარშლიანთ სასახლე”)

2. ადგილმდებარეობა/მისამართი

2.1. ზუსტი მისამართი	
ადმინისტრაციული ერთეული (ავტონომიური რესპუბლიკა, ქალაქი, დაბა, სოფელი)	სოფელი გარიყულა
ქალაქის რაიონი	
ქუჩა (ქუჩები)	
შენობის №	
2.2. გეოგრაფიული/ისტორიული მდებარეობა	
ისტორიული მხარე	ქართლი
გეოგრაფიული ერთეულის სახელწოდება	
ისტორიული დასახლების სახელწოდება	გარიყულა
მანძილი და მიმართულება უახლოესი დასახლებული პუნქტიდან	შიგ სოფელ გარიყოლაში,

3. სახეობა

არქიტექტურის	არქიტექტურული სამამულო კომპლექსი
არქეოლოგიური	
საინჟინრო	
მემორიალური	თარხან-მოურავების სანათესავო ისტორია
ქალაქთმშენებლობის (ურბანული)	
საბაღე საპარკო ხელოვნების და ლანდშაფტური არქიტექტურის	
მონუმენტური სახვითი ხელოვნების	ინტერიერის კედლის და ჭერის დეკორატიული მოხატულობა და თაბაშირი-სორკობლივი ინკრუსტაცია აღმოსავლური სტილების გავლენით
პალეოგრაფიული	
ეთნოგრაფიული	
მეცნიერების, ტექნიკისა და მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებული ძეგლი	

4. თარიღი (პერიოდი, საუკუნე, ზუსტი თარიღი)

თავდაპირველი დაშენება (აბანო), XIX ს. დასაწყისი (სასახლის 1 სართული), XIX ს. შუაწლები (სასახლის მეორე სართული); 1960-ან წლებში (სასახლის მნიშვნელოვანი გადაკეთებები)

5. სტატუსი და კატეგორია

5.1. სტატუსი	თავდაპირველი	არქიტექტურული ძეგლი
	ამჟამინდელი	არქიტექტურული ძეგლი
5.2. სტატუსის მინიჭების თარიღი	თავდაპირველი	1938 წ.
	ამჟამინდელი	

		07. 11. 2006 წ.
5.3. სტატუსის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება	თავდაპირველი	საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს ხელოვნების საქმეთა სამმართველო
	ამჟამინდელი	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
5.4. დოკუმენტის №	თავდაპირველი	?
	ამჟამინდელი	№1994, ბრძანებულება №665 კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრი (ნაწილი 3)
5.5. კატეგორია	თავდაპირველი	ეროვნული
	ამჟამინდელი	ეროვნული
5.6. კატეგორიის მინიჭების თარიღი	თავდაპირველი	1989 წ.
	ამჟამინდელი	07. 11. 2006 წ.
5.7. კატეგორიის მიმნიჭებელი ორგანიზაციის დასახელება	თავდაპირველი	საქართველოს ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლთა დაცვის და გამოყენების სამმართველო
	ამჟამინდელი	საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
5.8. დოკუმენტის №	თავდაპირველი	
	ამჟამინდელი	ბრძანებულება №665 კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სახელმწიფო რეესტრი (ნაწილი 3)
5.9. რეესტრის №		№1994
5.10. რეესტრში შეტანის თარიღი		07. 11. 2006 წ.

6. ფუნქცია

დასახელება	თავდაპირველი	ახალი
6.1. რელიგიური		
6.2. სათავდაცვო		
6.3. საერო	საცხოვრებელი	უპატრონო ბავშვთა სახლი, თბილისის სამხატვრო აკადემიის საზაფხულო ბაზა, ამჟამად დროებით უფუნქციო

7. საკუთრება

იურიდიული პირი	
ფიზიკური პირი	თავდაპირველი მესპატრონეების შთამომავლები
და სხვა	

8. მოკლე დახასიათება

ობიექტი იმყოფება სოფელ გარიყულას შუაში, რომელიც მჭიდროდ ეკვრის სოფელ ახალქალაქს და წარმოადგენს თარხან-მოურავების საგვარეულო სასახლის არქიტექტურულ კომპლექსს. სასახლის 2-სართულიანი შენობა განლაგებულია მაღალი ბორცვის სწორკუთხა ტერასაზე, საიდანაც იხსნება ხედი სოფელ გარიყულას და ახალქალაქის და მტკვრის ხეობის კავკასიონის ქედამდე. სასახლის გარდა ამ ტერიტორიაზე (რომელიც ეკუთვნის სასახლეს) განლაგებულია ორგუმბათიანი აბანოს შენობა, შესრულებული აგურის და ქვის შერეული წყობით, 8-კუთხა დეკორატიული ქვის აუზი, სასახლის ტერასების საყრდენი კედლების, კიბეების და ღობის ქვის წყობის ნარჩენები, ასევე კარის ეკლესიის საძირკვლების ნარჩენები. გარდა ზემოთ ჩამოთვლილი თავდაპირველი ნაგებობებისა შემდგომი პერიოდების გადაკეთებებით - ტერიტორიაზე განლაგებულია გვიანდელი ნაგებობები: სწორკუთხა რკინაბეტონის საცურაო აუზი, ტერასის საყრდენ კედელზე მიშენებული მარანი და საბოილერო სათავსო, ავტოფარეხი, რკინაბეტონის ფილების ღობე. ტერიტორიაზე შემორჩა რამდენიმე ძველი წიწვოვანი და ფოთლოვანი დიდი ხე, ასევე არის ახალი გაშენებული ხილის ხეები და ბუჩქები. არის გვიანდელი ქვით მოპირკეთებული ბაღის ბილიკები და მოედნები, ასევე ლითონის ბადით შემოღობილი სპორტული მოედანი. სასახლის შენობაში, აბანოში და აუზში მიყვანილია წყლისა და კანალიზაციის სისტემა.

ტერიტორია უზრუნველყოფილია ელექტროენერგიით. სასახლის ტერიტორია შემოღობილია ნაწილობრივ ლითონის ბადით, ნაწილობრივ რკინაბეტონის ფილებით, ხოლო ქვედა ტერასა ესაზღვრება წყლის რკინაბეტონის სარწყავ არხს.

სასახლის კედლები აშენებულია აგურის და ქვის შერეული წყობით. ფასადის კედლების ნაწილი გალესილია. მეორე სათულზე ორი ფასადის მთელ სიგრძეზე მოწყობილია გვიანდელი რკინაბეტონის აივანი. კარ-ფანჯრების ღიობებს გააჩნიათ სხვადასხვა ტიპის ზღუდარები: ნახევრადწრიული, სეგმენტური და სწორი-პორიზონტალური. კარ-ფანჯრები ხისაა, სხვადასხვა დროის. სართულშუა გადახურვა ხის კოჭებზე მოწყობილი, გარდა კიბის უჯრედისა. 4-ქანობიანი სახურავი ასევე მოწყობილია ხის კონსტრუქციებით და დაფარულია შედებილი თუნუქით. შიდა 3-მარშიანი კიბე მოწყობილია ასაწყობი მოხაიკური საფეხურებით ლითონის კოსოურებზე. იატაკები ნაწილობრივ შესრულებულია ცემენტის მოჭიმვით (პირველი სართულის დია ტერასა და კიბის უჯრედი), ნაწილობრივ კერამიკული ფილებით (პირველი სართულის დიდი დარბაზი და საფირფარაშოები), ნაწილობრივ - პარკეტით. ინტერიერის კედლები და ჭერები შელესილია და შეეთეთრებულია. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ მეორე სართულის ხუთ ოთახში კედლები და ჭერები მორთულია თაბაშირით ნაძერწი აღმოსავლური ფერადი ორნამენტებით, ინკრუსტირებული სარკის "ნატეხებით". მოხატულობის ნაწილი განძრახ დაზიანებულია (ჩამოჭრილია მჭრელი საგნით) და დაფარულია გვიანდელი გაჯის ნაღესით. მოხატულობა და ორნამენტები შესრულებულია გალესილ ხის ლარტყებზე ("დრანკაზე"). შემორჩენილია რამდენიმე ძველი ავეჯის ნიმუში, სავარაუდოთ სასახლის მშენებლობის ეპოქისა.



9. ფიზიკური მდგომარეობა

9.1. ზოგადი შეფასება (კარგი, საშუალო, ცუდი, ძალიან ცუდი, დანგრეული)

ცუდი

9.2. მდგომარეობის მოკლე აღწერა

სასახლე რამოდენიმე ჯერ გადაკეთებულია, სოგიერთი მაწილი დაშლილია (ფლიგელი, სახურავის რიზოლიტების პარაპეტები, თავდაპირველი აივნები, თავდაპირველი კარ-ფანჯრების ხის ალათები ფერადი შემინვით, რამოდენიმე ბუხარი, თავდაპირველი ხის კიბე). კედლებზე, რომლებიც აშენებულია აგურის და ქვის შერეული წყობით, ჩანს ბევრი წვრილი ბზარები; სამი ფასადის კედლები შელესილია, ჩრდილოეთის ფასადის შელესვა მოხსნილია რამოდენიმე წლის წინ. სახურავის კონსტრუქციები და თუნუქის საფარი დაზიანებულია. ინტერიერის მოხატულობა და დეკორატიული ინკრუსტირებული ორნამენტები მრავალ ადგილას ძლიერ დაზიანებულია, მრავალ ადგილას - დაკარგულია.

აბანოს კედლები, რომლებიც შესრულებულია აგურის და ქვის შერეული წყობით, ნაწილობრივად გასუფთავებულია გვიანდელი ნასესობიდან; 2 გუმბათი, აშენებულია ძველი ქართული აგურდან, ხელოვნურად დაზიანებულია (ამოღებულია ცენტრალური "კლიტე-აგური"); ორი თავდაპირველი გვერდითი სათავსო ნაწილობრივად გადაკეთებულია, ნაწილობრივად - დაშლილია.

დეკორატიული 8-კუთხა ქვის აუზის წყობა კოროზირებულია.

9.3. დაზიანების გამომწვევი მიზეზი

ბუნებრივი	მიწისძვრა (შესაბამისი საინჟინრო გადაწყვეტილებების არქონის გამო), წვიმები (სახურავის დაზიანებების გამო)
ადამიანის ზემოქმედება	არასწორი ექსპლუატაცია და გვიანდელი ხელოვნური დაზიანებები, ასევე არამართლმშობიერი გადაკეთებები
სხვა კონკრეტული მიზეზი	

9.4. მოსალოდნელი საშიშროება და ჩასატარებელი ღონისძიებები

ინტერირის უნიკალური დეკორის სრული დაკარგვა	
10. მითითება კულტურული მემკვიდრეობის ობიექტის/ძეგლის შესახებ არსებულ დოკუმენტაციასა და ბიბლიოგრაფიაზე	
პასპორტი/სააღრიცხვო ბარათი	- საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, "სარემონტო სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი", (გ.გორდეკვი), 1938 წელი; - «კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი» № 1994, 2006 წ.; - «კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ობიექტის/ძეგლის სააღრიცხვო ბარათი» (კ.სადალაშვილი), 2010 წელი; - საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულების საქმეთა კომიტეტი, ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების სამმართველო, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სიით ისტორიული ძეგლის (შენობის) პასპორტი, (ო.ომანიძე), 1951 წ. - საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს, ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლთა დაცვის და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო, "საქართველოს ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლის პასპორტი", (პ. კიკაჩიშვილი), 1989 წ.
გრაფიკული მასალა	საქართველოს ძეგლთა დაცვის სააგენტოს არქივში შენახული არქიტექტურული ანაზომები: - 1956 წ. (დ.ხიმშიაშვილი; გ.ჭეიშვილი; რ.ცინცაძე), საქართველოს სსრ საბჭოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტი ისტორიული და არქიტექტურული ძეგლების სამმართველო - 1988-1989 წწ. (ი.შარაშენიძე; გ.ტარასაშვილი; ლ.ბოკუჩავა), საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო, ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლთა დაცვის და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო
ფოტოები	- 1951 წელი (ფოტოგრაფი - შიმანსკი), კულტურული მემკვიდრეობის დაცვის როვნული სააგენტოს არქივი; - 1956 წელი (ფოტოგრაფი - ბარტიშევსკი), კულტურული მემკვიდრეობის დაცვის როვნული სააგენტოს არქივი; - 1984 წელი, "ლეგენდა სურამის ციხეზე" (კ-ფ. სპარაჯანოვი, დ.აბაშიძე), საქართველოს ეროვნული არქივი, "კინო-ფოტო არქივი" - 1988 წელი (ფოტოგრაფი - გ.მორბედაძე), კულტურული მემკვიდრეობის დაცვის როვნული სააგენტოს არქივი; - თარხან-მოურავიების და მანაბლების ოჯახის არქივები
ბიბლიოგრაფია	- გ.ბერიძე, "თბილისის 1801-1917 წწ", თბილისი, 1960 წ. - ჟურნალი "ძეგლის მეგობარი", "ზოგი რაგ მარშლიანთ სასხლის შესახებ", მ.მგალობლიშვილი, გ.მარჯანიშვილი, 1987 წ, №3, გვ.7 - საქართველოს ისტორიის, კულტურის და ბუნების ძეგლთა დაცვის და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველო, "ისტორიულ, საარქივო და ბიბლიოგრაფიული გამოკვლევა" (მ.მგალობლიშვილი), 1988 წ;

11. მითითებები კულტურული მემკვიდრეობის ობიექტთან/ძეგლთან დაკავშირებულ სხვა ობიექტთან/ძეგლის სააღრიცხვო დოკუმენტაციაზე

დაკავშირებულ უძრავ ობიექტთა /ძეგლთა პასპორტები/სააღრიცხვო ბარათები	-
ობიექტში / ძეგლში დაცულ კულტურული მემკვიდრეობის მოძრავ ობიექტთა / ძეგლთა პასპორტები /სააღრიცხვო ბარათები	-

სხვა დოკუმენტები	პორუჩიკ ალექსანდრე გარხან-მოურავის ორი სახლის პროექტი, ქ. თბილისში, ლაბორატორიის ქუჩაზე, (დღევანდელი ძმები ზუბალაშვილების ქუჩა) 1861 წ., საქართველოს ეროვნული არქივი, "საისტორიო არქივი", ფონდი 205, აღწერა 1, საქმე 1905 და საქმე 1907
------------------	---

12. დამატებითი ინფორმაცია

X.044.33334	Y.41.87930	ზღვის დონიდან 682 მ.
-------------	------------	----------------------

13. ბარათის შემდგენელი

არქიტექტორი - ალა პროზოროვა

14. საადრიცხვო ბარათის შევსების თარიღი

2014, აპრილი

